პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი | № 196 (12708) | ხუთშაბათი, 22 აგვისტო, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

## ასეთია მათი გადაწყვეტილება

### საქართველოს კპ XXII ყრილობის შესახვედრად

[illegible] XXII ყრილობის [illegible]

სამშობლოს მისცეს 280 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია;

შარშანდელთან შედარებით წელს შრომის ნაყოფიერება აამაღლოს 20 პროცენტით;

გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს გეგმასთან შედარებით 1,2 პროცენტით;

[illegible] ფერომშენადნობთა ქარხნის კოლექტივის წერილმა. გადაწყვიტეს ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება, საქართველოს კპ XXII ყრილობის გახსნის დღისათვის — 24 დეკემბრისათვის შეასრულონ წლიური საწარმოო დავალება;

გეგმის ზევით გამოუშვან 30 პიანინო;

დაზოგონ 15 კუბმეტრი ხე-ტყის მასალა და დიდძალი დამხმარე მასალები.

## იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის მეგობრობა, ძმური თანამშრომლობა

ბელგრადი, 21 აგვისტო. (საკდესი). გუშინ საღამოს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალურმა მდივანმა, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ ტიტომ მეუღლითურთ საზეიმო სადილი გამართეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და მისი მეუღლის პატივსაცემად.

სადილმა მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

სადილზე იოსიპ ბროზ ტიტომ და ნ. ს. ხრუშჩოვმა სიტყვები წარმოთქვეს.

ი. ბროზ ტიტო საპატიო საბჭოთა სტუმარს მიესალმა და თქვა: თქვენი ვიზიტი სასიხარულოა და კმაყოფილებას გვრის სოციალისტური იუგოსლავიის ყველა ხალხს, რომლებიც ძმური და მეგობრული გრძნობებით არიან გამსჭვალული სოციალიზმის პირველი ქვეყნის, დიდი ლენინის ქვეყნის ხალხებისადმი. მან აღნიშნა, რომ ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის მეტად წარმატებით ვითარდება და ყველა პირობა არსებობს მათი თანამშრომლობის უფრო ფართო განვითარებისათვის.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირი და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა, განაცხადა ი. ბროზ ტიტომ, ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდნენ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბრძოლას მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის, განსაკუთრებით კი სოციალისტური ქვეყნების, სოციალისტური და ყველა მშვიდობისმოყვარე ძალის მნიშვნელობას ამ ბრძოლაში, ხელშეკრულების დადება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსში და წყალქვეშ იმედსა და რწმენას მატებს მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებს, რომ გადადგმულ იქნება შემდგომი ნაბიჯი, რომელიც შეაჩერებს გამალებულ შეიარაღებას. მოსკოვის ხელშეკრულება გონების გამარჯვება და რეაქციული წრეების პოლიტიკის დამარცხებაა.

ძალზე მოხარული ვართ, რომ საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას შორის თანხმობაა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებზე და რომ ჩვენი ქვეყნები ერთად იბრძვიან, რათა მოიპოვონ შემდგომი შედეგები მშვიდობის უზრუნველყოფისათვის, მშვიდობიანი აქტიური თანაარსებობისა და სოციალიზმისათვის.

ი. ბროზ ტიტომ რწმენა გამოთქვა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში ახალი მნიშვნელოვანი წვლილი იქნება ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარებაში, მთელ მსოფლიოში სოციალიზმისა და მშვიდობის საქმეში. მან გულთბილი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის მთავრობას და ხალხებს იმ გულწრფელი თანაგრძნობისა და ძმური დახმარებისათვის, რაც მათ გაუწიეს კატასტროფული მიწისძვრისაგან დაზარალებულ სკოპლეს მოსახლეობას.

თავისი სიტყვის დასაწყისში ნ. ს. ხრუშჩოვმა გულთბილი მადლობა გადაუხადა მასპინძლებს გულითადი მიღებისათვის.

შემდეგ მან თქვა: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირი, ჩვენი ქვეყნების მთავრობები ძალღონეს არ იშურებენ მშვიდობის განმტკიცებისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპების საფუძველზე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. საბჭოთა კომუნისტები, ისევე როგორც ყველა მარქსისტ-ლენინელი, მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ სოციალისტური ქვეყნების, მთელი მშვიდობისმოყვარე ძალებისა და ყველა ხალხის ერთობლივი მეცადინეობით შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული თერმოატომური კატასტროფა, აგრესიულ ძალებს საშუალება არ მიეცეთ მოაბრუნონ კაცობრიობა მშვიდობიანი განვითარების გზიდან.

მიგვაჩნია, თქვა შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომ ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსში და წყალქვეშ არის წინგადადგმული ნაბიჯი გადაუდებელი საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი გადაწყვეტის გზაზე. ჩვენ, რასაკვირველია, არ ვფიქრობთ, რომ ეს ხელშეკრულება წყვეტს განიარაღების ძირითად პრობლემებს, მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ ისიც, რომ ხელშეკრულება ქმნის უფრო ხელსაყრელ პირობებს იმისათვის, რომ დავუახლოვდეთ ამ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტას.

კმაყოფილი ვართ იმით, თუ როგორ ვითარდება საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობა, განაცხადა შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ. ამ ურთიერთობის ახლანდელი დონე მიღწეულ იქნა ჩვენი ქვეყნების პარტიათა და მთავრობათა მეცადინეობის შედეგად.

დასასრულ ნ. ს. ხრუშჩოვმა გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის თანამშრომლობა განვითარდება ორივე ხალხის ინტერესებისათვის, მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცების ინტერესებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის ინტერესებისათვის.

## ნ. ს. ხრუშჩოვი სტუმრად იუგოსლავ მუშებთან

ბელგრადი, 21 აგვისტო. (საკდესი). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი სტუმრად იყო ბელგრადის გარეუბნის რაკოვიცის მოტორ-ტრაქტორსაშენებელი კომბინატის მუშებთან. ნ. ს. ხრუშჩოვს ახლდნენ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი ა. რანკოვიჩი და სხვა ოფიციალური პირნი. მუშები აღტაცებით შეხვდნენ საბჭოთა ხალხის წარმომადგენელს.

ქარხნის ეზოში გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი. საბჭოთა მთავრობის მეთაურს მხურვალედ მიესალმა კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანი მიჩა პეჩანაცი. მიტინგზე მკაფიო სიტყვა წარმოთქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა. მას სიტყვას აწყვეტინებდნენ მქუხარე ტაშითა და შეძახილებით საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეგობრობის პატივსაცემად.

მუშებმა ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცეს საჩუქრები — იმ დეტალების კომპლექტი, რომლებსაც კომბინატი უშვებს, და სამახსოვრო ალბომი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მხურვალე მადლობა გადაიხადა საჩუქრებისათვის და თავის მხრივ მუშებს გადასცა ლენინის ბიუსტი, რადიოლა და ალბომი „ჩვენი სამშობლო“.

## ნ. ს. ხრუშჩოვმა გვირგვინით შეამკო უცნობი გმირის საფლავი

ბელგრადი, 21 აგვისტო. (საკდესი). გუშინ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა გვირგვინით შეამკო უცნობი გმირის საფლავი ავალას მთაზე, რომელიც მდებარეობს ბელგრადის მახლობლად.

გვირგვინით შემკობას დაესწრნენ ნ. ს. ხრუშჩოვის თანმხლები პირები — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. ანდროპოვი და სხვები, აგრეთვე იუგოსლავიის სახალხო არმიის წარმომადგენლები.

საბჭოთა მთავრობის მეთაურმა საპატიო სტუმრების წიგნში შემდეგი ჩაწერა: „დიდება უცნობ გმირს, რომელიც სიმბოლოა იუგოსლავი ხალხის მამაცური ბრძოლისა თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის“.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირნი გაემართნენ ბელგრადის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა და იუგოსლავი მეომრების სასაფლაოსაკენ. ნ. ს. ხრუშჩოვმა სასაფლაო შეამკო გვირგვინით, რომელზეც წარწერილია: „უკვდავი დიდება საბჭოთა და იუგოსლავ მეომრებს, რომლებიც დაიღუპნენ გმირულ ბრძოლაში ფაშიზმის წინააღმდეგ, ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის“.

ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა სასაფლაო და საპატიო სტუმართა წიგნში ჩაწერა: „ნათელი ხსოვნა საბჭოთა და იუგოსლავი მეომრებისა, რომლებიც გმირთა სიკვდილით დაიღუპნენ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მარად იცოცხლებს საბჭოთა ადამიანების გულში. საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეგობრობა, ერთობლივ ბრძოლაში გამოწრთობილი, შთააგონებს ჩვენი ქვეყნების ხალხებს ახალი სახელოვანი საქმეები ჩაიდინონ მშვიდობის, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის“.

## დასამტკიცებლად გადაეცა ხელშეკრულება

### ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დასამტკიცებლად გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგინება აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ და დასკვნისათვის გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებს.

# საბჭოთა მთავრობის განცხადება

თვეზე ნაკლები გავიდა მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებმა მოსკოვში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ. მაგრამ ამ მოკლე დროშიც კი გამოვლინდა ხალხების და მთავრობების დამოკიდებულება ამ ხელშეკრულებისადმი: მისი დადების დღე — 1963 წლის 5 აგვისტო — აღიბეჭდა ყველას შეგნებაში, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, როგორც თარიღი, როცა უფრო საგრძნობი გახდა ნაყოფი მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკისა, ღონისძიებებისა, რომელთა მიზანია ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილება.

პირველად წლების მანძილზე, რომლებიც მოწამლული იყო „ცივი ომით“, აღმოსავლეთისა და დასავლეთის სახელმწიფოებმა მოახერხეს მიეღწიათ შეთანხმებისათვის საჭირბოროტო საერთაშორისო საკითხზე, რომელიც ეხება დედამიწის მთელი მოსახლეობის საარსებო ინტერესებს. პირველად გახდა შეთანხმების საგანი ის დარგი, რომელიც ეხება ყველაზე გამანადგურებელ იარაღს, რომელიც კი ოდესმე ემუქრებოდა კაცობრიობას. და პირველად საერთაშორისო შეთანხმებას, რომელიც შეიმუშავა თავდაპირველად სამმა ატომურმა სახელმწიფომ, ასე მძლავრად გამოეხმაურნენ და დაუჭირეს მხარი ჩვენი პლანეტის ყველა ნაწილში. ახლა ყველა კონტინენტზე მიმდინარეობს თითქოს რეფერენდუმი, და მისი შედეგები უკვე ცნობილია: მსოფლიოს ხალხებმა მტკიცედ დაუჭირეს მხარი ამ ხელშეკრულებას.

სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალური წყობილების სახელმწიფოთა უმრავლესობამ, რომლებიც ხშირად ერთმანეთისადმი დაპირისპირებული მსოფლმხედველობისა არიან, განაცხადა, რომ მხარს უჭერს ან უკვე ხელი მოაწერა ხელშეკრულებას. მიუხედავად მთელი განსხვავებისა, რაც მათ თიშავს, ისინი გაერთიანდნენ ერთ რამეში: მისწრაფებაში შეწყვიტონ დედამიწის ატმოსფეროს მოწამვლა და ამავე დროს დასაბამი მისცენ შემდგომ ღონისძიებებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, თერმოატომური ომის წარმოშობის საფრთხის შემცირებისათვის.

ხალხებმა საყოველთაოდ რომ მოიწონეს ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, ამით ამასთან ერთად გამოვლინდა, თუ რა უბადრუკ იზოლაციაში აღმოჩნდნენ ამ ხელშეკრულების მოწინააღმდეგენი. იმათ შორისაც კი, ვინც დასაწყისში ყალყზე დგებოდა ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესაძლებლობის ხსენებისას, ახლა არიან მთავრობები და სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც გზადაგზა იწყებენ გარდაქმნას. მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ხელი მოეწერა ამ ხელშეკრულებისათვის და უკვე მოაწერა ხელი მას. როგორც ჩანს, იგი მაინც მიხვდა, რომ არის საზღვარი, რომლის გადალახვა საშიშია, თუ არა გსურს საბოლოოდ საქვეყნოდ გამოამზეურო შენი პოლიტიკა, რომელიც ეწინააღმდეგება ხალხთა ძირეულ ინტერესებს. კანცლერმა ადენაუერმა, რომელმაც დასავლეთის ქვეყნებშიც კი მოიხვეჭა „ცივი ომის“ ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანის არასახარბიელო რეპუტაცია, გარემოებათა ზემოქმედებით, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით ამჯობინა შეეწყვიტა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების აშკარა ობსტრუქცია.

ხოლო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელები, რომლებიც ინიღბებიან ფსევდორევოლუციური ფრაზებით, კვლავ გააფთრებით სწამებენ ცილს ხელშეკრულებას, რომელიც ხალხთა იმედებს გამოხატავს.

ჯერ კიდევ ხელშეკრულების დადების წინ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელები შეეცადნენ მოებრუნებინათ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი მისი დადების წინააღმდეგ. მიმდინარე წლის 31 ივლისს მათ მიმართეს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთავრობებს განცხადებით, რომლის არსი, გარდა ცილისმწამებლური თავდასხმებისა საბჭოთა კავშირსა და მის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკაზე, ის იყო, რომ ყველასათვის „დაემტკიცებინათ“, რომ ეს ხელშეკრულება „მახეა“, „მოტყუებაა“, რომ იგი ეწინააღმდეგება ხალხთა ინტერესებს, მშვიდობის ინტერესებს. დღეს ჩინეთის ხელმძღვანელებს შეუძლიათ თვითონ განსაჯონ, როგორ შეაფასეს მსოფლიოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ეს პოზიცია. მხოლოდ გაცნობა იმ სახელმწიფოების სიისა, რომლებმაც ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, თავისთავად მეტყველებს. ყოველდღე კი ხელშეკრულებას ხელს აწერენ ევროპისა და აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა სულ ახალი და ახალი წარმომადგენლები.

თითქოს არის, რასაც უნდა ჩაუფიქრდნენ, თითქოს პეკინშიც უნდა მიმხვდარიყვნენ, თუ რას ნიშნავს სახელმწიფოთა და ხალხთა ეს პასუხი ჩინეთის მთავრობის ცდებზე ჩაშალოს ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ. თავისთავად ცხადია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას, ისევე როგორც ყოველი სხვა ქვეყნის მთავრობას, შეუძლია განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება — დადებითი ან უარყოფითი — ხელშეკრულებისადმი, შეუერთდეს მას ან არ შეუერთდეს. მაგრამ, თუ რაღაც განსაკუთრებულ მიზნებს არ ისახავ, შესაძლოა ისეთ მიზნებსაც კი, რომლებსაც პირდაპირი კავშირი არა აქვს ამ ხელშეკრულებასთან, საკმარისი იქნებოდა უარი გეთქვა ხელშეკრულების ხელმოწერაზე და ამით დაგემთავრებინა. მაგრამ, როგორც ჩანს, სწორედ ის არის მთელი საქმე, რომ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების დადებამ ჩინეთის ხელმძღვანელთა მარტოოდენ გაჯავრება და პოლიტიკური ნერვიულობა კი არ გამოიწვია, არამედ ისიც, რომ მათ სურთ გამოიყენონ საერთაშორისო ცხოვრების ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, რათა მონაჭორებისა და მდარე ხერხების საშუალებით შეეცადონ თავს მოახვიონ სხვა ქვეყნებს თავიანთი ავანტიურისტული პლატფორმა ომისა და მშვიდობის ძირეულ საკითხებში. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას, რომ 15 აგვისტოს პეკინიდან გაუშვეს მორიგი ულუფა ცილისწამებისა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების წინააღმდეგ და სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ, ამჯერად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლის განცხადების ფორმით.

ყოველი ადამიანი, რომელიც ობიექტურად აფასებს საქმის ვითარებას მსოფლიოში, ადვილად დარწმუნდება, რომ მშვიდობისა და სოციალიზმის საქმისათვის ეს მტრული ნაბიჯი ვერ დაახშობს ხალხთა მშვიდ და მტკიცე ხმას, რომლებიც გამოხატავენ კმაყოფილებას მშვიდობისმოყვარე ძალების წარმატების გამო, მრავალი წლის განმავლობაში რომ აწარმოებენ შეუნელებელ ბრძოლას ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტისათვის, განიარაღებისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის. თუ რამეში გვარწმუნებს კიდევაც ჩინეთის ახალი განცხადება, ერთადერთი ის არის, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა თავისი დამოკიდებულებით ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულებისადმი არა მარტო უერთდება იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ყველაზე აგრესიულად განწყობილ წრეებს, არამედ წინამძღოლის როლს კისრულობს ამერიკელი „ცოფიანების“, დასავლეთგერმანელი რევანშისტების, ფრანგი ექსტრემისტების მწკრივში.

კაცმა რომ თქვას, ჩინეთის მთავრობის წარმომადგენლის განცხადება არსებითად ცოტა რამეს მატებს იმას, რაც უკვე გამოთქვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ ამა წლის 31 ივლისის განცხადებაში, რასაც საბჭოთა მთავრობამ უკვე უპასუხა 3 აგვისტოს. როგორც წინა განცხადება, ჩინეთის ახალი განცხადება დადასტურებაა იმისა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მხოლოდ სიტყვით ეთანხმება მშვიდობიანი თანაარსებობის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების ხაზს, რომელიც საერთაშორისო კომუნისტურმა მოძრაობამ მოიწონა კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირებზე 1957 და 1960 წლებში, სინამდვილეში კი საბოტაჟს უწევს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ამ საერთო კურსის განხორციელება.

თითქოს, ყველა საგინებელი სიტყვა, რომლებიც კი არის ჩინურ ენაში, გადავიდა ჩინეთის გაზეთების ფურცლებიდან, აღვირახსნილ ანტისაბჭოთა კამპანიას რომ ეწევიან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურ დოკუმენტებში. „სირცხვილი“, „შეთქმულება“, „ღალატი“ — რა სიტყვებით არ მიმართავენ ჩინეთის ხელმძღვანელები იმ ქვეყანას, რომელსაც, როგორც მათ არაერთხელ განუცხადებიათ, ჩინელი ხალხი ბევრ რამეს უნდა უმადლოდეს. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ საბჭოთა კავშირისათვის მტრული, ცილისმწამებლური ხასიათის გამო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ორივე განცხადება არ მიიღო სსრ კავშირის საელჩომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საბჭოთა მთავრობისათვის გადასაცემად და დაუბრუნა გამგზავნს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას.

რაც ძნელია, უფრო სწორად რომ ვთქვათ შეუძლებელია აღმოვაჩინოთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლის განცხადებაში, ეს არის დასაბუთებული, სერიოზული არგუმენტები, ფაქტების ობიექტური გაშუქება.

ჩინეთის ახალი განცხადება აჭრელებულია ძველი მტკიცებებით, რომ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულება „ხელსაყრელია ომის ძალებისათვის და არ არის ხელსაყრელი მშვიდობისათვის მებრძოლი ძალებისათვის“, რომ ეს ხელშეკრულება „კაპიტულაციაა ამერიკის იმპერიალიზმის წინაშე“, ემსახურება გარკვეული სახელმწიფოების „ატომური მონოპოლიის“ განმტკიცებას და სხვ. რა თქმა უნდა, ყველა ეს უსაფუძვლო მტკიცება უფრო დამაჯერებელი ვერ ხდება იმის გამო, რომ მათ დაუსრულებლად იმეორებენ. ამიტომ საბჭოთა მთავრობას საჭიროდ არ მიაჩნია კვლავ დაწვრილებით განიხილოს ყველა ის მონაგონი დებულება და გაცვეთილი არგუმენტი, რომლებსაც ჩინეთის მთავრობა აყენებს ამ ხელშეკრულების წინააღმდეგ. მათი უსაფუძვლობა უკვე ნაჩვენები იყო საბჭოთა მთავრობის 3 აგვისტოს განცხადებაში.

ჩინეთის ხელმძღვანელები, მაგალითად, კვლავ, ამტკიცებენ, თითქოს ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების დადების შედეგად „ომის საფრთხე გაიზარდა“. რას ნიშნავს ეს მტკიცება? საქმე იმას რომ ეხებოდეს, რომ ხელშეკრულება ვერ სპობს ომის საფრთხეს, მაშინ ეს სწორია. საბჭოთა მთავრობამ განაცხადა ეს ხელშეკრულების დადების დროსაც, ამასთანავე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ხელშეკრულებით ომის საფრთხე, რა თქმა უნდა, არ ისპობა და არც მოისპობა, თუმცა ხელშეკრულება ქმნის ახალ, უფრო კეთილნაყოფიერ შესაძლებლობას იმისათვის, რომ გაიშალოს ბრძოლა მშვიდობის განსამტკიცებლად. მაგრამ ჩინეთის ხელმძღვანელები სულ სხვა რამეს ამტკიცებენ. მათ სურთ დაამტკიცონ, რომ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების დადების შედეგად ომის საფრთხე გაიზარდა, გახდა უფრო დიდი, ვიდრე მის დადებამდე იყო. გამოდის, რომ მთელი მსოფლიო ცდება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების მნიშვნელობის შეფასებაში და მხოლოდ ჩინეთის ხელმძღვანელები ფლობენ სიბრძნის წყაროს. მხოლოდ ისღა უნდა ვთქვათ, რომ ეს არის მეტად უცნაური სიბრძნე, რომელიც ახასიათებს მხოლოდ იმათ, ვინც ფიქრობს, რომ შეიძლება იჯდეს რომელიღაც ოლიმპზე და გამოთქვამდეს იქედან ჭეშმარიტებებს, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა რეალურ ცხოვრებასთან, და თავიანთ მოქმედებაში ხელმძღვანელობდეს იმით, რომ ცხოვრება არ შეესაბამება მათს მკვდარ სქემებს, მით უარესი ცხოვრებისთვისო.

მაგრამ რით ასაბუთებენ ჩინეთის ხელმძღვანელები თავიანთ მტკიცებას, რომ ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ზრდის ომის საფრთხეს? მათ რომ მოუსმინო, გამოდის, რომ ატომური იარაღის გამოცდის განგრძობა და გაფართოება, მისი სულ უფრო მომაკვდინებელი ნიმუშების შექმნა, ისეთი მდგომარეობის წარმოშობა, როცა ეს იარაღი გავრცელდება მთელ მსოფლიოში და ხვალ მის დამზადებას დაიწყებენ დასავლეთგერმანელი რევანშისტები, ხოლო ზეგ, შესაძლოა, ჩანკაიშელთა ხროვა, ხოლო მისთვის დახმარების გაწევის მსურველნი გამოჩნდებოდნენ, ყოველივე ეს დაეხმარებოდა მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

ჩინეთის ახალი განცხადების ავტორები ასეთ რამესაც კი ამტკიცებენ: რომ არ იყოს ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, არც გამოცდა იქნებოდა, რადგან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ვერც კი გაბედავდა „დაუფიქრებლად“ განეახლებინა ეს გამოცდაო. მაგრამ ეს ხომ აბსურდია. ასეთი მტკიცება ნიშნავს ცდას დაარწმუნონ ვინმე, რომ სამართლის დარღვევა არ იქნებოდა, სახელმწიფოები კანონებს რომ სცემდნენო. აგრეთვე ცნობილი არ არის, თუ რატომ ლაპარაკობენ ჩინელი ხელმძღვანელები ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მაგივრად მის განზრახვებზე ატომური იარაღის გამოცდის მოწყობის შესახებ.

როგორც ჩანს, შეგნებული აქვთ რა, რომ ყველა მათმა განცხადებამ იმის შესახებ, რომ ატმოსფეროში, კოსმოსში და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შედეგად იზრდება ომის საფრთხე, შეიძლება ადამიანებში მხოლოდ ეჭვი გამოიწვიოს, შესწევთ თუ არა უნარი ჩინელ ხელმძღვანელებს აწონ-დაწონონ თავიანთი საკუთარი სიტყვების მნიშვნელობა, ისინი აყენებენ კიდევ ერთ „მოსაზრებას“, რომელიც, როგორც ყველაფრიდან ჩანს, ხსნად მიაჩნიათ: როგორ, ამბობენ ისინი, ხელშეკრულება ხომ არ უკრძალავს ამერიკის შეერთებულ შტატებს განახორციელონ ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდა, გაადიდონ ატომური იარაღის მარაგი. მაგრამ, ჯერ ერთი, ხელშეკრულების ხელმოწერამდეც ამ მხრივ შებოჭილი არ ყოფილან ამერიკის შეერთებული შტატები, ისე, რომ ამ აზრით ახალი არაფერი არ მომხდარა. ხოლო, მეორე, ხელშეკრულება არ უკრძალავს არც საბჭოთა კავშირს, თუ ეს საჭირო იქნება, განახორციელოს ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდა, გაადიდოს საკუთარი ატომური იარაღის მარაგი და გამოიყენოს კიდევაც ეს იარაღი იმპერიალისტი აგრესორების წინააღმდეგ, თუ ისინი გონებას დაკარგავენ და ომს ატეხენ. აქ მდგომარეობა ერთნაირია, და ჩინელმა ხელმძღვანელებმა უფრო ცუდად როდი იციან, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა, რომ ჩვენ, საბჭოთა ადამიანებსაც, როგორც იტყვიან, ცოტა რამ გაგვეგება, და რომ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების დადებით საბჭოთა კავშირი სრულებითაც არ აპირებს აწარმოოს ცალმხრივი განიარაღება იმპერიალიზმის წინაშე.

რომელი გულუბრყვილო ადამიანებისათვის არის გათვალისწინებული ჩინეთის ხელმძღვანელთა განცხადებანი ამერიკის იმპერიალიზმის წინაშე „კაპიტულაციის“ შესახებ, „მოტყუების“ შესახებ, როგორიც არის თითქოს ხელშეკრულება ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ! ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ! ჩვენს დროში არ არიან ასეთი გულუბრყვილონი, ხალხებმა უკვე დიდი ხანია ისწავლეს გარჩევა, თუ სად არის სიმართლე და სად არის ცილისწამება.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ თუ საბჭოთა მთავრობას წინათ ერთი პოზიცია ეკავა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის საკითხში, — და ისინი დიდსულოვნად მზად არიან სწორად მიიჩნიონ იგი, — ხოლო შემდეგ სხვა პოზიცია დაიკავა, ეს რაღაც მომაკვდინებელი ცოდვაა და თითქმის ღალატი.

დიახ, საბჭოთა კავშირის პოზიცია ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხში არ ყოფილა გაქვავებული, იგი ეფარდებოდა საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა განლაგების ცვლილებებს, წარმატებებს სსრ კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში და ითვალისწინებდა ყოველივე იმის ერთობლივობას, რასაც ატომური საუკუნის რეალობებს ვუწოდებთ.

პირველ წლებში მას შემდეგ, რაც ატომური იარაღი მოიპოვეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებს ატომური მონოპოლია ჰქონდათ, ხოლო სოციალისტური ქვეყნების უშიშროებას ამის გამო საფრთხე ემუქრებოდა, საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებდა, რომ მთავარი ამოცანა იყო ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ამ უპირატესობის წართმევა. ამ მიზნის მიღწევა შეიძლებოდა ან ატომური იარაღის გამოცდის სრული აკრძალვის გზით, რაც ნიშნავდა იმ დროს ერთადერთი ატომური სახელმწიფოსათვის — ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ამ იარაღის ჩამორთმევას, ან საკუთარი ატომური იარაღის შექმნის გზით, რაც ხელს შეუწყობდა ყველა სოციალისტური ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფას. საბჭოთა მთავრობამ სწორედ მაშინ წამოაყენა მოთხოვნა ატომური იარაღის აკრძალვისა და ლიკვიდაციის შესახებ, ხოლო როცა ეს მოთხოვნა უარყვეს დასავლეთის სახელმწიფოებმა, დაიწყო საკუთარი

(გაგრძელება მე-2 გვ.).

# საბჭოთა მთავრობის განცხადება

(გაგრძელება)

ატომური იარაღის შექმნა, რომელიც სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და უშიშროების კარგი დამატებითი გარანტია უნდა გამხდარიყო, იმპერიალისტებისათვის უნდა დაეკარგა ხალისი აგრესიისა სოციალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ. გასაგებია, რომ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვა, თუ ამავე დროს არ მოისპობოდა ეს იარაღი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰქონდათ, ამ წლებში არ შეესაბამებოდა სოციალისტური ქვეყნების ინტერესებს — იგი შეაფერხებდა საბჭოთა ატომური იარაღის შექმნას და განამტკიცებდა ამერიკის ატომურ მონოპოლიას.

მაგრამ მდგომარეობა უცვლელი როდი რჩებოდა. საკუთარი ატომური იარაღის შექმნისათვის საბჭოთა ხალხის, საბჭოთა მეცნიერების დაძაბული მცდელობების შედეგად ამერიკის ატომური მონოპოლია დაიმსხვრა. ახლა სოციალისტური სისტემამ მიიღო საკუთარი ატომური ფარი, იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა დაკარგეს მატერიალური საფუძველი იმისათვის, რომ განეხორციელებინათ ატომური შანტაჟის პოლიტიკა, „ძალის პოზიციის" პოლიტიკა სოციალისტური ქვეყნების მიმართ. ამ პირობებში ახლებურად დაისვა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის საკითხი. ახლა ატომური იარაღის გამოცდის განგრძობას შეეძლო მხოლოდ სულ უფრო და უფრო გაეძლიერებინა გამალებული შეიარაღება, რითაც დაინტერესებული არ არიან სოციალისტური ქვეყნები, და საერთოდ ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო. ამავე დროს ძალთა ახალი თანაფარდობის პირობებში ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვა განამტკიცებდა უკვე არა ამერიკის ატომურ მონოპოლიას, არამედ მისი ლიკვიდაციის ფაქტს, არა იმპერიალისტური ბანაკის ცალმხრივ უპირატესობას, არამედ ძალთა ახალ თანაფარდობას ატომური იარაღის დარგში.

საბჭოთა მთავრობამ გაითვალისწინა ყველა ეს გარემოება და, კვლავ შეუპოვრად იბრძოდა რა განიარაღებისათვის, ატომური იარაღის სრული აკრძალვისა და ლიკვიდაციისათვის, ამასთანავე 1956 წელს წამოაყენა წინადადება, რომ არ დალოდებოდნენ განიარაღების პრობლემის გადაჭრას და შეთანხმებულიყვნენ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. შეცვლილ პირობებში ეს პოზიცია ისევე სწორი იყო და ისევე შეესაბამებოდა სოციალისტურ სახელმწიფოთა ინტერესებს, მშვიდობის ინტერესებს, როგორც სწორი იყო ადრინდელ ეტაპზე წინანდელი პოზიცია.

საჭიროა აგრეთვე ხაზგასმით აღინიშნოს, რომ წინადადება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, რომელიც მაშინ საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა, ითვალისწინებდა ამ საკითხის გადაჭრას სწორედ იმ საფუძველზე, რომელზეც გადაიჭრა ეს საკითხი ახლა. იმ დროს ატომური იარაღის გამოცდა წარმოებდა მხოლოდ ატმოსფეროში და წყალქვეშ, სხვა სფეროებში გამოცდა ჯერ კიდევ არ ხდებოდა, და საქმე ეხებოდა სწორედ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვას ატმოსფეროში და წყალქვეშ. ხელშეკრულებაში, რომელიც მიმდინარე წლის 5 აგვისტოს დაიდო, ამას დაემატა მესამე სფერო, რომელშიც იკრძალება ატომური იარაღის ექსპერიმენტები, — კოსმოსური სივრცე. ამრიგად, განსხვავებაა ის, რომ 1956 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარი თქვეს მიეღოთ ჩვენი წინადადება, ხოლო 1963 წელს მათ მიიღეს ეს წინადადება, რამდენადმე გაფართოებული სახითაც — დაემატა კოსმოსური სივრცე.

რაც შეეხება ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდას, ეს საკითხი წამოიჭრა არა 1956 წელს — მაშინ ასეთი გამოცდა ჯერ კიდევ არ წარმოებდა, არამედ მოგვიანებით, როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიწყეს ატომური იარაღის მიწისქვეშა ექსპერიმენტები. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ საბჭოთა მთავრობა მოითხოვდა ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდის აკრძალვასაც. მაგრამ შეთანხმების მიღწევა ამ მხრივ აქამდე ვერ მოხერხდა, რადგან დასავლეთის სახელმწიფოებმა ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდის აკრძალვა დაუკავშირეს ეგრეთწოდებული საერთაშორისო კონტროლის დამყარებას, არსებითად კი — საერთაშორისო ჯაშუშობას, რაც შელახავდა სოციალისტური სახელმწიფოების უშიშროების ინტერესებს, რაზედაც საბჭოთა მთავრობა, ბუნებრივია, ვერ დათანხმდება.

შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირს და მთლიანად მსოფლიოს უნდა აერჩიათ ან ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვა სამ სფეროში, ან თავშეუკავებელი და უსაზღვრო გამალებული გამოცდის განგრძობა. და თუ ახლა მოხერხდა შეთანხმების მიღწევა გამოცდის აკრძალვის შესახებ სამ სფეროში, და ამით გადაიჭრა მთელი პრობლემის უმთავრესი ნაწილი, ეს ხალხთა დიდი წარმატებაა, მშვიდობისმოყვარე ძალების გამარჯვებაა, მშვიდობის პოლიტიკის რეალური მიღწევაა.

აი ძირითადი ნიშანსვეტები საბჭოთა კავშირის პრინციპული და ამავე დროს მოქნილი და რეალისტური პოლიტიკისა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის საკითხში. საერთაშორისო ვითარების ყოველგვარი ცვლილების პირობებში ეს პოლიტიკა შეესაბამებოდა არა მარტო საბჭოთა კავშირის ინტერესებს, არამედ ყველა სოციალისტური, ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს ინტერესებსაც, როგორც შეესაბამება მათს ყველაზე ღრმა ინტერესებს და ამ პოლიტიკის მიღწეული შედეგია დადება ხელშეკრულებისა ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ.

ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის მოწინააღმდეგენი, რომელთა შორის ახლა ჩინეთის ხელმძღვანელებიც აღმოჩნდნენ, ვერ შეიძენენ პოლიტიკურ კაპიტალს იმ რაღაც წინააღმდეგობათა ძიების საშუალებითაც კი, რომ თუ ერთი-ორი წლის წინათ საბჭოთა მთავრობას არ მიაჩნდა შესაძლებლად დათანხმებულიყო გამოცდის შეწყვეტის საკითხის ნაწილობრივ გადაჭრაზე, ახლა დათანხმდა ხელშეკრულების დადებაზე გამოცდის აკრძალვის შესახებ სამ სფეროში. ჩინეთის ხელმძღვანელებს განსაკუთრებით აკვირვებთ ის, რომ სამი სახელმწიფოს წარმომადგენელთა მოსკოვის მოლაპარაკების დაწყებამდე თვენახევრით ადრე საბჭოთა მთავრობა კვლავ მოითხოვდა ხელშეკრულების დადებას ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდის შეწყვეტის შესახებ. მაგრამ ყველა საღად მოაზროვნე პოლიტიკოსისა და დიპლომატისათვის ნათელია, რომ თვითეული მხარის სურვილია თავის პარტნიორებთან მოლაპარაკების დროს მიაღწიოს მაქსიმუმს. ჩვენ ვიბრძოდით ამ მაქსიმუმისათვის, ესე იგი ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდის, მათ შორის მიწისქვეშა გამოცდის შეწყვეტისათვის. მაგრამ ამ ეტაპზე ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. და ამ პირობებში საბჭოთა კავშირმა დადო შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ სამ სფეროში: ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ. ეს იყო ნაბიჯი მსოფლიო საზოგადოებრიობის მოლოდინის დასაკმაყოფილებლად, ეს იყო ნაბიჯი, ნაკარნახევი ზრუნვით საბჭოთა ხალხის ჯანმრთელობისათვის, ყველა სხვა ხალხის, მათ შორის ჩინელი ხალხის ჯანმრთელობისთვისაც. ატომური იარაღის გამოცდის განგრძობა სწორედ ამ სამ სფეროში ზიანს აყენებს ადამიანთა ჯანმრთელობას, რადიოაქტივობით წამლავს ცხოველთა და მცენარეულთა სამყაროს, რა თქმა უნდა, საბჭოთა მთავრობა ახლაც უარს არ ამბობს თავის მეცადინეობაზე ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდის აკრძალვისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა მთავრობამ უკვე მიაპყრო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ყურადღება იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ ცხოვრება ერთ ადგილზე არ დგას, რომ მეცნიერება და ტექნიკა სწრაფად ვითარდება, და ის, რაც მიუღებელი იყო ჯერ კიდევ გუშინ, შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს და მეტად სასარგებლოც დღეს. ამას მოწმობს დიდი მნიშვნელობის გარკვეული მატერიალური ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება საბჭოთა მთავრობის დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობის, ყველა სოციალისტური ქვეყნის უშიშროების განმტკიცებისათვის. ამ ღონისძიებებმა, რომელთა შორის იყო უახლესი ნიმუშების ატომური იარაღის გამოცდებიც, მათ შორის მსოფლიოში არსებული ყველაზე მძლავრი ატომური იარაღის გამოცდაც, საიმედოდ უზრუნველყო სოციალისტური თანამეგობრობის უშიშროება. ჩვენ ახლა გვაქვს ყველა საჭირო მონაცემი იმისათვის, რომ აგრეთვე შემდგომშიც ჯეროვან დონეზე შევინარჩუნოთ ჩვენი თავდაცვითი ძლიერება, რასაც მოითხოვს ვითარება ან შეიძლება მოითხოვოს.

და როცა ჩვენ ამაზე ვლაპარაკობთ, ვლაპარაკობთ საქმის ცოდნით. საბჭოთა მთავრობას უკვე თხუთმეტი წელიწადია საქმე აქვს ატომურ იარაღთან, აქ ჩვენთვის ნაცნობია საკითხის ყველა მხარე. თუმცაღა, ჩინეთის ხელმძღვანელები ცდილობენ საეჭვოდ გახადონ ეს, რადგან, როგორც ჩანს, პრეტენზია აქვთ თვითონ განსაჯონ ატომურ იარაღთან დაკავშირებული საკითხები. მაგრამ როცა ამის განსჯას იწყებენ ისინი, ვინც იცნობს ატომურ იარაღს უფრო ყურის მოკვრით, ისინი, რა თქმა უნდა, ძალაუნებურად შეიძლება უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს შეეხება ჩინეთის ხელმძღვანელთა უსაფუძვლო განცხადებებს სტრატეგიული ატომური იარაღის, ტაქტიკური ატომური იარაღის შესახებ, იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვთ თუ არა აქვთ მოთხოვნილებანი განაგრძონ ატომური იარაღის გამოცდა ატმოსფეროში, და სხვა ასეთი საკითხების შესახებ. ლაპარაკი ამაზე, მაშინ როცა საკმაოდ არ იცნობ საქმის არსს, რამდენადმე სარისკოა. და ის როდია მთავარი, რომ ვიღაცას სურს მიითვისოს უფლება ილაპარაკოს ატომურ იარაღზე და წაართვას ეს უფლება სხვებს, არამედ ის, თუ ვის განცხადებებს შეიძლება ჰქონდეს წონა ასეთ საკითხზე, და ვისი განცხადებაა ყბედობა.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ შეგვიძლია ახლა საჯაროდ ვილაპარაკოთ ისეთ საგნებზე, როგორიც არის ატომური იარაღის იმ გამოცდის კონკრეტული შედეგები, რომელიც განვახორციელეთ 1961-1962 წლებში, მონაცემები ატომური მუხტების კალიბრთა შესახებ, რომლებიც ჩვენს არსენალშია, ამა თუ იმ საბრძოლო ატომურ საშუალებათა დანიშნულების შესახებ, რომლებიც საკმარისად აქვს საბჭოთა კავშირს, იმის შესახებ, თუ სად არის განლაგებული ეს საშუალებანი, და სხვ. ეს ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირისა და ყველა სოციალისტური სახელმწიფოს უშიშროების ინტერესებს, მათ შორის აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უშიშროების ინტერესებს.

და თუ ჩინეთის ხელმძღვანელები, აცხადებენ რა, რომ უკანასკნელ წლებში ვითარება არ შეცვლილა, სსრ კავშირის პოლიტიკა კი ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხში თითქოს შეცვლილიყოს, ამით ცდილობენ აიძულონ საბჭოთა კავშირი, რომ ცხადყოს ცვლილებანი ატომური იარაღის სიმძლავრის თანაფარდობაში უკანასკნელი წლების მანძილზე და ამისათვის გაამჟღავნოს სსრ კავშირის თავდაცვის საიდუმლოებანი, ჩვენ შეგვიძლია ვუთხრათ მათ მხოლოდ ერთი რამ: თქვენ სიტყვით აცხადებთ, რომ ზრუნავთ სოციალისტური ქვეყნების თავდაცვის განმტკიცებისათვის, საქმით კი ასრულებთ იმათ როლს, ვისთვისაც ძვირფასი არ არის სოციალისტური თანამეგობრობის უშიშროების ინტერესები, მაგრამ ვინც მზად არის ხელი შეუწყოს იმპერიალისტური რეაქციის ძალებს. ჩინეთის ხელმძღვანელებმა არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ ზოგიერთი სახელმწიფოს სამხედრო შტაბებში და აგრესიულ სამხედრო ბლოკებში სწორედ ოცნებობენ იმაზე, თუ როგორ იშოვონ უაღრესად საიმედო ინფორმაცია საბჭოთა ატომური და რაკეტული იარაღის შესახებ.

და თუ მაინც ჩინეთის მთავრობა რატომღაც ნამდვილად არ არის დარწმუნებული იმაში, აქვს თუ არა საბჭოთა კავშირს ყველა სოციალისტური ქვეყნის დაცვისათვის საჭირო მძლავრი ატომური იარაღი, და ვერ დაკმაყოფილდა ჩვენი განმარტებებით ამის შესახებ, მაშინ მას შეუძლია ყურადღება მიაქციოს თუნდაც ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელ სამხედრო მოღვაწეთა განცხადებებს, რომლებიც სულ რამდენიმე დღის წინათ გაკეთდა ამერიკის კონგრესში, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების შტაბების უფროსთა კომიტეტის განცხადებას. ამ განცხადებებში გარკვევით აღიარებულია ის ატომური ძლიერება, რომელიც აქვს ამჟამად საბჭოთა კავშირს. ეს განცხადებანი ბევრ რამეს ნიშნავს, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ იმპერიალისტები მხოლოდ მაშინ აღიარებენ ძალაუნებურად სოციალისტური ქვეყნების ამა თუ იმ მიღწევას, როცა თვით ცხოვრება აიძულებს მათ ქნან ეს.

ასეთია საბჭოთა მთავრობის პოზიცია ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის საკითხში. ეს არის პირდაპირი და პატიოსანი პოზიცია, და ჩვენ დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ მას სრული გაგებით ეკიდებიან და მხარს უჭერენ სხვა სოციალისტური ქვეყნები, ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო და ხალხი. ჩვენი პოზიციის ძალაა მისი ცხოველმყოფელობა, ის, რომ იგი სავსებით შეესაბამება ხალხთა ძირეულ ინტერესებს, რეალისტურია იმ ცვლილებათა გათვალისწინება, რომლებიც მოხდა ბოლო წლების განმავლობაში და ხდება ახლა მსოფლიო ასპარეზზე.

სამწუხაროა, რომ პეკინში არათუ არ ითვალისწინებენ იმ ცვლილებებს, რომლებიც განსაზღვრავენ დღევანდელი მსოფლიოს სახეს, არამედ სახელმწიფო ხელოვნების მწვერვალად მიაჩნიათ ის, რომ განუხრელად იხელმძღვანელონ პოლიტიკაში გაქვავებული დოგმებით, დაუპირისპირონ მკვდარი ფორმა რეალობის ცოცხალ სიტყვას. ეს არის ჩინეთის ხელმძღვანელთა პოლიტიკის მთავარი მანკი, კერძოდ, ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის საკითხში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლის 15 აგვისტოს განცხადებიდან ჩანს, რომ ჩინეთის ხელმძღვანელები დიდად ნაწყენი არიან საბჭოთა კავშირზე იმისათვის, რომ არ მიაწოდა ჩინეთს ატომური იარაღის ნიმუშები. ეტყობა, რომ სწორედ წყენამ იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები ახორციელებენ ატომური იარაღის გაუვრცელებლობის პოლიტიკას, უკარნახა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებს თავს დასხმოდნენ სსრ კავშირის საგარეო-პოლიტიკურ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და მშვიდობის განმტკიცება, და განსაკუთრებით თავს დასხმოდნენ ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ.

საბჭოთა მთავრობას უკვე არაერთხელ მიუღია ღონისძიებანი, რათა დაერწმუნებინა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, რომ ატომური იარაღის გაუვრცელებლობა შეესაბამება მშვიდობის ინტერესებს, ყველა სოციალისტური ქვეყნის ინტერესებს, მათ შორის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტერესებსაც. ისტორიულად ისე მოხდა, რომ სოციალისტურ ქვეყნებს შორის მხოლოდ საბჭოთა კავშირი აწარმოებს ატომურ იარაღს. საბჭოთა კავშირმა მთელი თავისი საგარეო პოლიტიკით დაამტკიცა, რომ მისი ატომური ძლიერება საიმედოდ იცავს მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის ინტერესებს, იმ ხალხების ინტერესებს, რომლებიც იბრძვიან თავიანთი სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის. იქნება თუ არა ატომურ სახელმწიფოთა შორის ერთი ან რამდენიმე სოციალისტური ქვეყნით მეტი, ეს არ მოახდენს არსებით ცვლილებას სოციალისტური ბანაკის თავდაცვისუნარიანობაში, თუ, რა თქმა უნდა, ჩავთვლით სოციალისტურ ბანაკს როგორც ერთ მთლიანობას. მაგრამ ყოველი ახალი კაპიტალისტური სახელმწიფო, რომელიც დაეუფლება ატომურ იარაღს, გაზრდის ატომური ომის საფრთხეს. ისეთი შესაძლებლობა, რომ სოციალისტური ატომური სახელმწიფოების რიცხვი გაიზარდოს, ხოლო ატომურ სახელმწიფოთა რიცხვი იმპერიალისტურ ბანაკში უცვლელი დარჩეს, არ შეიძლება იყოს და ამაზე იმედის დამყარება ნიშნავს გამოვაცალოთ მას ყოველგვარი საფუძველი.

ყოველ შემთხვევაში გულუბრყვილობა იქნებოდა გვევარაუდა, რომ შეიძლება განვახორციელოთ ერთი პოლიტიკა დასავლეთში, მეორე კი აღმოსავლეთში, ერთი ხელით ვაწარმოოთ ბრძოლა დასავლეთ გერმანიის ატომური იარაღით შეიარაღების წინააღმდეგ, ატომური იარაღის გავრცელების წინააღმდეგ, მეორე ხელით კი გადავცეთ ეს იარაღი ჩინეთს.

არა, ეს იქნებოდა ორპირი, [illegible] პოლიტიკა. სოციალისტური ქვეყნები რომ დაადგნენ ამ გზას, რომელზეც მათ ჯიუტად უბიძგებენ ჩინეთის ხელმძღვანელები, ეჭვი არ არის, რომ დასავლეთის ატომური სახელმწიფოები ამითვე უპასუხებდნენ, ხოლო ატომური იარაღის წარმოების ეკონომიური, ტექნიკური და სხვა შესაძლებლობანი აქვთ მთელ რიგ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს. მთელი ეს ატომური არსენალი მოხმარდებოდა ნატოს, სენტოს, სეატოს აგრესიულ სამხედრო ბლოკებს და დაუპირისპირდებოდა სოციალისტური ქვეყნების ატომურ არსენალს. მხოლოდ ადამიანებს, რომლებსაც თვალს უბნელებს წყურვილი ატომური იარაღი ჰქონდეთ საკუთარ ბინაში, არ შეუძლიათ დაინახონ და გაიგონ ეს.

საბჭოთა კავშირის მეცადინეობას — მიაღწიოს ატომური იარაღის გავრცელების აკრძალვის შესახებ საერთაშორისო შეთანხმების დადებას იმიტომ ეხმაურებიან ფართოდ და მხარს უჭერენ მთელ მსოფლიოში, რომ თვითონ საბჭოთა კავშირს უჭირავს ამ საკითხში პრინციპული პოზიცია. თუ არა საბჭოთა კავშირის თანმიმდევრული და მტკიცე ბრძოლა ატომური იარაღის გავრცელების წინააღმდეგ, რომელსაც საფუძვლად უდევს მისი ატომური ძლიერება, დასავლეთის მილიტარისტული ძალები და უწინარეს ყოვლისა დასავლეთგერმანელი რევანშისტები, რომლებიც გამალებით ცდილობენ ხელთ იგდონ ატომური იარაღი, დღეს ბევრად უფრო ახლო იქნებოდნენ თავიანთ მიზანთან, ვიდრე სინამდვილეშია.

ჩვენ ვაკრიტიკებდით და ვაკრიტიკებთ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოების მთავრობათა პოლიტიკას, რადგან ამ პოლიტიკით ღიაა კარი დასავლეთ გერმანიის ატომური შეიარაღებისათვის, ყოველ შემთხვევაში ნატოს სხვა ქვეყნებთან ერთად. საბჭოთა მთავრობამ მტკიცედ გაილაშქრა „ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების" შექმნის გეგმების წინააღმდეგ. უშენიშვნოდ დაგმო ეს გეგმები და მიმართა შესაბამის საგარეო-პოლიტიკურ აქციებს, რათა ეჩვენებინა ხალხებისათვის მათი განხორციელების საშიშროება. ეს გააკეთა საბჭოთა კავშირის მთავრობამ და არა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ. საბჭოთა მთავრობა ამხილებდა და კვლავაც ამხილებს ყალბ კონცეპციას, რომელსაც ნატოს სახელმწიფოები იცავენ: უკეთესია, რომ დასავლეთი გერმანია ფლობდეს ატომურ იარაღს ნატოს კონტროლით, ამ სამხედრო ბლოკის გაერთიანებული ატომური ძალების ფარგლებში, ვიდრე ის, რომ საკუთარი ატომური იარაღი შექმნასო. საბჭოთა მთავრობა სხვანაირად აყენებს საკითხს: დასავლეთ გერმანიის ატომური შეიარაღება დაშვებულ არ უნდა იქნას არავითარი ფორმით, რადგან ასეთი იარაღით აღჭურვა სახელმწიფოსი, რომლის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდევს რევანშის, ევროპაში შექმნილი სახელმწიფო საზღვრების გადასინჯვის მიზნები, ბევრად გააძლიერებდა ახალი მსოფლიო ომის საფრთხეს. ამიტომ საბჭოთა მთავრობა არ შეანელებს თავის მეცადინეობას, რათა დასავლეთის სახელმწიფოებიც დაარწმუნოს, რომ ატომური იარაღის გავრცელების პოლიტიკა, რომლითაც გათვალისწინებულია ეს იარაღი რაიმე ფორმით გადაეცეს დასავლეთ გერმანიას, ღრმად მცდარი პოლიტიკაა, რომელიც დიდ საფრთხეს უქმნის მშვიდობას.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩინეთის ხელმძღვანელებმა, რომლებიც გაემიჯნენ მთელ მსოფლიოს რაღაც თვალსაფარით, არაფერი არ იციან, არაფერი არ სმენიათ ამის შესახებ. ისინი ხომ ამტკიცებენ თავიანთ განცხადებაში, ფაქტების მიუხედავად, რომლებსაც კარგად იცნობს თვითეული ადამიანი, რომელიც კითხულობს გაზეთებს ან ისმენს რადიოს, რომ საბჭოთა კავშირი ჯეროვნად არ ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ დასავლეთგერმანელ მილიტარისტებს ჰქონდეთ ატომური იარაღი. ეს არ შეიძლება სხვა რამედ მივიჩნიოთ, თუ არა ცილისწამებად.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის პოზიცია, რომელიც ჩამოყალიბებულია 15 აგვისტოს განცხადებაშიც, შეიძლება გავიგოთ მხოლოდ იმ აზრით, რომ ჩინეთის ხელმძღვანელებისათვის მნიშვნელობა არა აქვს, როგორ გავრცელდება ატომური იარაღი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, ოღონდ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა მოსინჯონ ხელით, როგორია ატომური ბომბი.

უნდა ვაღიაროთ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელიც თავისი ეკონომიური განვითარების გარკვეულ საფეხურზეა და აქვს გარკვეული ეკონომიური პოტენციალი, ჯერჯერობით არ არის მომზადებული იმისათვის, რომ დიდი რაოდენობით აწარმოოს ატომური იარაღი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ კიდევაც რომ დაამზადოს 2-3 ბომბი, ეს სულ ერთია არ იქნებოდა მისთვის საკითხის გადაჭრა. სამაგიეროდ ამის შედეგად დიდად დაუძლურდებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკა. ჩვენ საკუთარი გამოცდილებით ვიცით, რა უჯდება ქვეყანას, ხალხს ატომური იარაღის წარმოება ფართო მასშტაბით, იმ დონეზე, რომელიც შეესაბამება თანამედროვე სამხედრო ტექნიკას, თავდაცვის თანამედროვე მოთხოვნილებებს. მაგრამ ჩვენ იძულებული ვიყა-

(დასასრული მე-3 გვ.).

# მადლობა მილოცვებისათვის

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სახელზე მიღებულია უამრავი მილოცვა მთელი რიგი ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეებისაგან იმასთან დაკავშირებით, რომ მოსკოვში წარმატებით დამთავრდა მოლაპარაკება სსრ კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის და დაიდო ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ.

ნ. ს. ხრუშჩოვმა და ლ. ი. ბრეჟნევმა ამ ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეებს გაუგზავნეს საპასუხო დეპეშები, რომლებშიც გულწრფელ მადლობას უხდიან მილოცვებისათვის აღნიშნული ხელშეკრულების დადების გამო. (საქდესი).

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამა წლის ოქტომბრის პირველ ნახევარში ქალაქ ერევანში მოაწყოს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მშენებელთა თათბირი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, სამშენებლო ორგანიზაციების, საშენი მასალებისა და სამშენებლო ინდუსტრიის სამრეწველო საწარმოთა, საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, არქიტექტორთა კავშირის, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა მუშაკები, წარმოების მოწინავენი.

თათბირი განიხილავს ამიერკავკასიის რესპუბლიკებში კაპიტალური მშენებლობის მდგომარეობასა და დასახავს მისი გაუმჯობესების ღონისძიებებს.

(საქდესი).

# ხელშეკრულების ხელმოწერა გრძელდება

21 აგვისტოს მოსკოვში გრძელდებოდა ხელმოწერა ხელშეკრულებისა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს: მალაიის ფედერაციის რწმუნებულმა კანადის ელჩმა სსრ კავშირში ა. კ. სმიტმა, პარაგვაის რწმუნებულმა ბრაზილიის, შეერთებული შტატების რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში ვასკო ტ. ლ. და კუნიამ.

21 აგვისტოსათვის მოსკოვში ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 60 ქვეყნის რწმუნებულებმა. ამრიგად, იმ სახელმწიფოთა რიცხვი, რომლებმაც მოსკოვში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, ხელშეკრულების თავდაპირველი მონაწილეების — სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ჩათვლით 63 ქვეყანას შეადგენს. (საქდესი).

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა გულითადად მიულოცა კრასნოდარის მხარის საბჭოთა მეურნეობა „ყუბანის" კოლექტივს შრომაში მიღწეული წარმატებანი.

# პროდუქტების წარმოების გადიდების სწორი გზა

## ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი საბჭოთა მეურნეობა „ყუბანის" მუშაკებს

ორი წლის წინათ, წერს ნ. ს. ხრუშჩოვი, ჩვენ მკაცრად გავაკრიტიკეთ საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. მაქსიმოვი ყუბანის უმდიდრესი შავმიწანიადაგების ცუდი გამოყენებისათვის. 1961 წელს მინდვრების თითქმის მესამედი საბჭოთა მეურნეობაში ბალახებს ეკავა, ხოლო ხორბალი ითესებოდა სახნავის მხოლოდ 20 პროცენტზე და სიმინდი 16 პროცენტზე, თუმცა ეს კულტურები ყველაზე უფრო მოსავლიანია. მიწას გონივრულად არ იყენებდნენ.

საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა აქედან პრაქტიკული დასკვნები გამოიტანა. ახლა ნათესი ფართობების სტრუქტურაში ძირითადი ადგილი უკავიათ უხვმოსავლიან მარცვლეულ კულტურებს — საშემოდგომო ხორბალს, სიმინდს, ბარდას. ბალახის ფართობი 1961 წლის 3.865 ჰექტარიდან მიმდინარე წელს შემცირებულია 650 ჰექტარამდე, ანუ სახნავის 30 პროცენტიდან 5 პროცენტამდე. ეს სწორი მიმართულებაა, აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი. პური ჩვენი სამშობლოს სიმდიდრეა. მარცვლის წარმოების ყოველმხრივ გადიდება იყო და არის სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარების საფუძველთა საფუძველი.

ძალზე დიდმნიშვნელოვანია, რომ საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი მუდამ ზრუნავს მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის.

გაწეული მუშაობის შედეგია ის, რომ „უფხო-1" საშემოდგომო ხორბლის 3.200 ჰექტარი ნათესის თითოეულ ჰექტარზე ამჟამად საბჭოთა მეურნეობამ მიიღო საშუალოდ 47,5 ცენტნერი მარცვალი, მოიწია ბარდისა და სხვა მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალი. ერთ ჰექტარ სახნავზე დაანგარიშებით წარმოებული იქნება 26 ცენტნერი მარცვალი. წელს საბჭოთა მეურნეობა სამშობლოს ჩააბარებს 1 მილიონ 225 ათას ფუთ საუკეთესო ყუბანის პურს, რაც ერთნახევარჯერ მეტია, ვიდრე 1961 წელს. ასეთი რაოდენობის მარცვალი საბჭოთა მეურნეობას სახელმწიფოსათვის არ ჩაუბარებია მთელი თავისი 30 წლის ისტორიის მანძილზე.

თქვენი მაგალითით, ხაზგასმით აღნიშნავს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, კიდევ ერთხელ დამაჯერებლად უჩვენეთ ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას მარცვლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების სწორი გზა.

უპატაკებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს განხორციელებული გარდაქმნის შედეგების შესახებ, საბჭოთა მეურნეობის მუშაკები თავიანთ წერილში დაწვრილებით ლაპარაკობენ მიღწეულ წარმატებებზე, ბრძოლაზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მკვეთრი ამაღლებისათვის და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის.

ისინი სიტყვას აძლევენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს, რომ ძალღონეს არ დაიშურებენ, რათა საბჭოთა მეურნეობა „ყუბანი", რომელიც იბრძვის კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო წოდებისათვის, გარდაქმნან სანიმუშო მეურნეობად, ყოველწლიურად სამშობლოს ჩააბარონ სოფლის მეურნეობის სულ უფრო მეტი პროდუქტი. (საქდესი).

# ბრძანებულება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. ზ. ნ. ჩხუბიანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში სატყეო მრეწველობის განვითარების დარგში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ტყის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

ქ. თბილისი, 1963 წლის 20 აგვისტო.

# ბრძანებულება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. ს. ი. ფხაკაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში, განათლებისა და ბეჭდვითი სიტყვის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. სერგო ივანეს-ძე ფხაკაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

ქ. თბილისი, 1963 წლის 20 აგვისტო.

# საბჭოთა მთავრობის განცხადება

(დასასრული)

ით გვექნა ეს, რათა დავპირისპირებოდით იმპერიალისტურ ბანაკს, რომელსაც ასეთი იარაღი ჰქონდა. ხოლო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ახლა შეუძლია დაეყრდნოს დაცვის იმ საშუალებებს, რომლებიც საბჭოთა ხალხის შრომით შეიქმნა და საიმედოდ ემსახურება სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების თავდაცვის ინტერესებს. ამიტომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის ყველაზე კეთილგონივრული პოლიტიკა ახლანდელ პირობებში — თუ, რა თქმა უნდა, თავის მისწრაფებებს უფარდებს თავის შესაძლებლობებს — ის იქნება, რომ თავისი მეცადინეობა მოახმაროს ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკის, სოფლის მეურნეობის განვითარებას, ჩააყენოს ისინი ჩინელი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მისი საარსებო საჭიროებების დაკმაყოფილების სამსახურში. ჩინელი ხალხი ხომ ბევრ გაჭირვებას განიცდის, და ამიტომ ასეთი კურსი ჩინეთის ხელმძღვანელების პოლიტიკაში მეტ სარგებლობას მოუტანდა ჩინელ ხალხს, უფრო მეტად იქნებოდა დაფასებული და სწორად შეფასებული მთელ მსოფლიოში.

დავუშვათ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა თავისი ეკონომიკის მეტისმეტი დაძაბვის ფასად მაინც შექმნის რამდენიმე ატომურ ბომბს — მაგრამ რამდენ ასეთ ბომბს დაუმიზნებდნენ იმპერიალისტები ამ შემთხვევაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას? გრძნობენ თუ არა ჩინელი ხელმძღვანელები მშვიდად თავს, თუნდაც ხელთ ჰქონდეთ საკუთარი ატომური ბომბი? ახალი ომის საფრთხე რომ გაძლიერდეს დასავლეთში, და ეს აუცილებლად მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ატომური იარაღი შემდგომ გავრცელდება კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, ჩინეთი ვერ იგრძნობდა თავს უფრო უშიშრად, ვიდრე დღეს გრძნობს.

ფიქრით, მაგრამ მხოლოდ ფიქრით შეიძლება ავაგოთ ყოველგვარი სიმაღლისა და ყოველგვარი სისქის კედელი იმას შორის, რაც დასავლეთში ხდება და იმას შორის, თუ როგორ ვითარდება საქმეები აღმოსავლეთში. რეალურ სინამდვილეში კი ასეთი კედელი არ არის. ეს სწორი იყო ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე, იგი დაადასტურა ორივე მსოფლიო ომის გამოცდილებამ, ჩვენს დროში კი, როცა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მეოხებით მანძილი დედამიწაზე სულ უფრო მცირდება, ეს კიდევ უფრო ცხადი გახდა. თუ რომელიმე ქვეყნის, დიდი თუ პატარა ქვეყნის, ხელმძღვანელებს არა სურთ ისე დაინახონ საერთაშორისო ვითარება, როგორც არის, და თავიანთ პოლიტიკაში ხელმძღვანელობენ იმით, რომ მათთვის დიდმნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რაც საკუთარ სახლში ხდება, და მნიშვნელობა არა აქვს იმას, რა ხდება მსოფლიოს სხვა რაიონებში, ასეთი აზროვნება მოწმობს შეზღუდულ პროვინციალიზმს, სქოლასტიკურობას. ცხოვრებაში ასეთი შეხედულებანი პირდაპირ საშიშია, მათი ავანტიურისტული ხასიათის გამო.

ჩინეთის ხელმძღვანელები ყოველნაირად ლანძღავენ საბჭოთა კავშირს იმისათვის, რომ მას აქვს ატომური იარაღი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას კი არა აქვს იგი. შეუძლიათ თუ არა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებს, გულზე ხელი დაიდონ და თქვან, რომ სსრ კავშირის ატომური ძლიერება, ის ძლიერება რომ არ იყოს, რომელიც მთელი ამ წლების მანძილზე ყველა სოციალისტური ქვეყნის ინტერესებს ემსახურებოდა, მშვიდობის პოლიტიკა და აგრესიის ძალთა შებოჭვის ის პოლიტიკა რომ არ იყოს, რომელსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებდა და ახორციელებს, ჩინეთს შეეძლო დღეს მშვიდად გადაეჭრა სამეურნეო და სახელმწიფოებრივი მშენებლობის საშინაო ამოცანები? არა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებს უნდა ეღიარებინათ, რომ ისეთ ფუფუნებასაც კი, როგორიც არის მათი განცხადებანი ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების წინააღმდეგ და მათი უხეში გამოხდომები საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ, შეიძლება მიეცნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩინეთის საგარეო უშიშროებას იცავს საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ძლიერება.

და მართლაც, არ შეიძლება არ იცოდნენ, თუ როგორია ნამდვილი ფასი მათი იმ მტკიცებებისა, რომ „იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ, თავისი უშიშროების დაცვისათვის ბრძოლაში ყოველი სოციალისტური ქვეყანა უწინარეს ყოვლისა ეყრდნობა საკუთარ თავდაცვისუნარიანობას და მხოლოდ შემდეგ მოძმე ქვეყნებისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა მხარდაჭერასა და დახმარებას“. სწორია, რა თქმა უნდა, რომ თვითეულ სოციალისტურ ქვეყანას თავისი წვლილი შეაქვს მთელი სოციალისტური თანამეგობრობის უშიშროების უზრუნველყოფის საერთო საქმეში, და თვითეულის მიერ თავისი მოვალეობის შესრულება ამ მხრივ ყოველგვარი პატივისცემის ღირსია. მაგრამ ატომური იარაღის საუკუნეში საბედისწერო შეცდომად შეიძლება გადაიქცეს რომელიმე სოციალისტური ქვეყნის ცდა საკუთარი თავდაცვის უზრუნველყოფაში დაეყრდნოს მხოლოდ საკუთარ ძალებს, რომლებიც, ამავე დროს, ყველას როდი აქვს საკმარისი. ყველა სოციალისტური ქვეყანა, მათ შორის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაც, რა საწინააღმდეგოსაც უნდა ამტკიცებდნენ მისი ხელმძღვანელები, თავის თავდაცვას აგებს საბჭოთა კავშირის ატომური სიძლიერის გათვალისწინებით, რომელიც აკავებს დასავლეთის სახელმწიფოთა აგრესიულ წრეებს.

ჩინეთის ხელმძღვანელები ამტკიცებენ, თითქოს საბჭოთა კავშირი მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისათვის ზრუნავდეს, და, დადო რა ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, „წუთიერი სიმშვიდისათვის საუკუნო ტანჯვას უქადის ადამიანებს“.

თუ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადების ავტორები „სიმშვიდეში“ იმას გულისხმობენ, რომ არ არის ომი, ჩვენ მართლაც ყოველთვის ვიბრძოდით, ვიბრძვით და ვიბრძოლებთ ასეთი სიმშვიდისათვის. ომი ჩვენ არ გვესაჭიროება, ისევე როგორც არ ესაჭიროება იგი არც ერთ სოციალისტურ ქვეყანას, არც ერთ ხალხს. მაგრამ თუ ჩინეთის ხელმძღვანელებს სურთ ჩრდილი მიაყენონ საბჭოთა კავშირის მტკიცე გადაწყვეტილებას კვლავაც ბოლომდე დაიცვას მშვიდობის საქმე, დაიცვას სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების უშიშროება, — ხოლო ყველაფრიდან ჩანს, რომ ასეთია აღნიშნული განცხადების ავტორთა განზრახვა, — ისინი ამას ვერ შეძლებენ.

ხალხთა მეხსიერებაში არ წაიშლება, რომ ყველაზე კრიზისულ მომენტებში, როცა აგრესიული წრეები ომის ზღვარზე აყენებდნენ მსოფლიოს, საბჭოთა კავშირი უყოყმანოდ დებდა სასწორზე მთელ თავის საერთაშორისო ავტორიტეტს, თავის სამხედრო ძლიერებას იმისათვის, რომ შეეჩერებინა აგრესორის ხელი, აღმართული პატარა თუ დიდი ქვეყნის, გეოგრაფიულად დაშორებული თუ ახლომდებარე ქვეყნის წინააღმდეგ. ასე იყო სუეცის კრიზისის პერიოდში, ასე იყო სირიისა და ერაყის ამბების პერიოდში 1959 წელს. ასე იყო ტაივანის სრუტეში შექმნილი დაძაბულობის პერიოდში — და ეს არ შეიძლება არ ახსოვდეთ ჩინეთის ხელმძღვანელებს, ჩინელ ხალხს. ასე იყო კარიბის ზღვის რაიონის კრიზისის დროსაც, როცა საბჭოთა კავშირმა თავისი რაკეტულ-ატომური სიძლიერით დაიცვა რევოლუციური კუბა. იქნებ, ჩინეთის ხელმძღვანელებს სწორედ ყოველივე ეს მიაჩნიათ „სიმშვიდის“ წუთებად. მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ, გარდა ამ ხელმძღვანელებისა, არავინ არ დაეთანხმება ამას. საბჭოთა მთავრობის ამ აქციებით აგრეთვე გამოხატულება ჰპოვა ნამდვილმა პროლეტარულმა ინტერნაციონალიზმმა, და არა იმან, რაზედაც უყვართ მსჯელობა პეკინში და რის იქითაც გარდა მყვირალა ლოზუნგებისა და ქაღალდის რეზოლუციებისა, არაფერი არ არის.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ კიდევ ერთ გარემოებას: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც უგულებელყოფს თავის მოკავშირულ მოვალეობას, ბოროტად იყენებს ნდობით აღსავსე ურთიერთობას სოციალისტურ ქვეყნებს შორის, დაადგა იმ დახურული დოკუმენტებისა და ცნობების გამოქვეყნების გზას, რომლებიც სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების თავდაცვის სფეროს შეეხება, ამასთან ფაქტებს აშუქებს ტენდენციურად, დამახინჯებულად. რა თქმა უნდა, საბჭოთა მთავრობა არ დაეშვება იქამდე, რომ დაადგეს ცნობების გამოქვეყნების იმავე გზას, რომლებსაც დამოკიდებულება აქვთ სოციალისტური ქვეყნების თავდაცვასთან. საბჭოთა მთავრობა იძულებულია განაცხადოს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ასეთი მოქმედების შემდეგ ძნელია ვინმემ დაიჯეროს მის განცხადებათა გულწრფელობა და ანდოს მას თავდაცვითი მნიშვნელობის ცნობები. გასაგებია, რომ საბჭოთა მთავრობა გამოიტანს დასკვნებს ამ მხრივ.

ჩინეთის ხელმძღვანელთა განცხადებებში სულ უფრო მეტად იგრძნობა ტენდენცია, რომ ილაპარაკონ თითქმის მთელი მსოფლიოს ხალხთა, მათ შორის საბჭოთა ხალხის, სხვა სოციალისტური ქვეყნების, აგრეთვე აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ახალგაზრდა ეროვნული სახელმწიფოების ხალხთა სახელით. მაგრამ ვინ მისცა ჩინეთის ხელმძღვანელებს უფლება, აღშფოთებით კითხულობენ საბჭოთა ადამიანები, ჩვენს მაგივრად, საბჭოთა მთავრობის მაგივრად, ჩვენი კომუნისტური პარტიის მაგივრად განსაზღვრონ, თუ რა შეესაბამება და რა არ შეესაბამება ჩვენს ინტერესებს? ჩვენ ეს უფლება არ მოგვიცია და არც ვაპირებთ მოგცეთ.

ვინ მისცა უფლება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებს ილაპარაკონ სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხთა სახელით? იქნებ, მათ იკითხეს პოლონელების, გერმანელების, ჩეხოსლოვაკიელების, რუმინელების, ბულგარელების, უნგრელების, იუგოსლავების, მონღოლების აზრი ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ და ამ აზრის საფუძველზე ადგენენ თავიანთ განცხადებებს? არა, ამ ქვეყნების ხალხთა აზრი მათ არ უკითხავთ. მათ უბრალოდ მიაჩნიათ, რომ შეუძლიათ ილაპარაკონ ყველაფერი, რაც ენაზე მოადგებათ და პეკინის ხმა გაასაღონ ვარშავის, ბერლინის, ულანბატორის ან სხვა სოციალისტური ქვეყნების დედაქალაქების ხმად.

თუ როგორ ეკიდებიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელები სხვა სოციალისტური ქვეყნების ნამდვილ ინტერესებს, ჩანს თუნდაც იმათი მტკიცებიდან, თითქოს ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების დადების დროს „მსხვერპლად იქნა გაღებული“ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო სტატუსი. იქნებ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა არ იციან, რომ გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ხელშეკრულების თავდაპირველ მონაწილეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ ერთ-ერთმა პირველმა მოაწერა ხელი ამ ხელშეკრულებას? მაგრამ, როგორც ჩანს, იმ საკითხშიც, თუ რა მნიშვნელობა აქვს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მონაწილეობას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულებაში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელები ყველაფერს თავიანთი ადლით ზომავენ, მიაჩნიათ, რომ ჩინეთში უფრო მეტად ერკვევიან გერმანიის საქმეებში, ვიდრე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ვიდრე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა.

თუმცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელები ამას პირდაპირ არ ამბობენ, მაგრამ მთელი შინაარსი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ორივე განცხადებისა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების შესახებ ის არის, რომ ატომური იარაღის გამოცდის არა შეწყვეტა, არამედ განგრძობა ატმოსფეროში, ამ გამოცდის მოწყობა კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ შეესაბამებოდეს ხალხთა ინტერესებს, მშვიდობის ინტერესებს. მაგრამ, საკითხავია, სად, როდის და რომელმა ხალხმა გამოაცხადა, რომ მზად არის ისუნთქოს რადიოაქტიური ჰაერი, საკვებად იხმაროს რადიაციით მოწამლული პროდუქტები? ჩვენ არ ვიცით ასეთი განცხადებანი. ჩვენ არ ვიცით, რომ ჩინელ ხალხსაც ეთქვას: დიახ, დაე კვლავაც გაგრძელდეს ატომური იარაღის გამოცდა, და ჩვენ თანახმა ვართ, რომ რადიოაქტიური გამონაყოფი წამლავდეს ჩვენს სისხლს, ილექებოდეს ჩვენს ძვლებში, მოჰქონდეს ჩვენთვის, ჩვენი ბავშვებისათვის, ხოლო მემკვიდრეობით ჩვენი შთამომავლობებისათვის განუკურნებელი სნეულებანი. ჩვენ არ გვსმენია, რომ ჩინელ ხალხს ეთქვას ეს.

არც ერთი კომუნისტი-ლენინელი არ შეიძლება არ განიცდიდეს ბუნებრივი ზიზღის გრძნობას ასეთი დებულებისადმი თერმოატომური ომის შესახებ: თუნდაც დაიღუპოს ნახევარი კაცობრიობა, თუნდაც დაიღუპოს 300 მილიონი ჩინელი, ეს არაფერია, სამაგიეროდ იმპერიალიზმი აღიგვება პირისაგან მიწისა და მის ნანგრევებზე ისინი, ვინც გადარჩება, სწრაფი ტემპით შექმნიან ათასჯერ უფრო მაღალ ცივილიზაციას. სწორედ ასეთმა დამოკიდებულებამ თერმოატომური ომისადმი არაერთხელ ჰპოვა თავისი გამოხატულება ჩინეთის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელთა განცხადებებში. ორი კი არა, ას ორი განცხადებაც რომ გააკეთოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ იმის შესახებ, რომ მხურვალედ სურს მიაღწიოს ატომური იარაღის აკრძალვასა და მოსპობას, რომ იგი მხოლოდ ხალხის ინტერესებისათვის ზრუნავს, ვერ წარიხოცავს სირცხვილს იმის გამო, რომ თანახმაა დაიღუპოს ასეულ მილიონობით ადამიანი, მათ შორის ჩინელები, თერმოატომურ ომში. სხვათა შორის. ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების წინააღმდეგ თავისი უკანასკნელი განცხადების შინაარსით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მხოლოდ ადასტურებს, რომ დღესაც თავის საგარეო-პოლიტიკურ საქმეებში ემყარება იმავე ანტიმარქსისტულ, ანტილენინურ, არაადამიანურ დებულებას.

მაგრამ ვინ ჰკითხა იმ ჩინელებს, რომლებიც წინასწარ განწირული არიან სასიკვდილოდ, თანახმა არიან თუ არა გახდნენ ფიჩხი რაკეტულ-ატომური ომის ცეცხლში. მისცეს თუ არა მათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელობას რწმუნება წინასწარ გამოუწეროს მათ დაკრძალვის სახსრები?

ისმება სხვა კითხვაც. თუ თერმოატომურ ომში, ჩინეთის ხელმძღვანელთა პროგნოზების თანახმად, დაიღუპება ისეთი დიდი ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი, როგორიც ჩინეთია, რამდენი ადამიანი დაიღუპება იმ ქვეყნებში, რომელთა მცხოვრებლების რიცხვი განიზომება არა ასეულ მილიონობით, არამედ ათეულ ან უბრალოდ მილიონობით? ხომ ცხადია, რომ კაცობრიობის იმ ნახევარში, რომელიც მზად არიან ადამიანთა მოდგმიდან ამოშალონ ჩინელმა ხელმძღვანელებმა. მთლიანად მოხვდება ბევრი ქვეყანა და ხალხი. ვინ მისცა უფლება ჩინელ ხელმძღვანელებს განაგონ ამ ხალხთა ბედი, ილაპარაკონ მათი სახელით?

ვინ მისცა უფლება ჩინეთის ხელმძღვანელებს ჩირქი მოსცხონ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის საბოლოო მიზანს — შრომის გამარჯვებას კაპიტალზე — მტკიცებებით, რომ ამის გზა მსოფლიო თერმოატომური ომია და რომ ღირს დედამიწის მოსახლეობის ნახევარი შეეწიროს იმას, რომ გვამებსა და ნანგრევებზე აშენდეს უფრო მაღალი ცივილიზაცია. ამ კონცეპციას საერთო არა აქვს რა მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებასთან. ჩვენ ამ მხეცური კონცეპციის წინააღმდეგი ვართ. ჩვენ დაუცხრომლად ვიბრძოდით და ვიბრძვით მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვებისათვის, ხალხთა განთავისუფლებისათვის ყოველგვარი ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან, შრომის გამარჯვებისათვის კაპიტალზე იმ მეთოდებით, რომლებიც სოციალიზმისა და კომუნიზმის დიადი ჰუმანისტური იდეალების შესაფერისია.

თუ პეკინში ვინმე მზად არის თავისი ქვეყნის ნახევარი მოსახლეობის სიცოცხლე, მთელი კაცობრიობის ნახევრის სიცოცხლე გაიღოს მსხვერპლად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის, საბჭოთა მთავრობისათვის ძვირფასია არა მარტო საბჭოთა კავშირის ნახევარი მოსახლეობის, არამედ თვითეული საბჭოთა ადამიანის სიცოცხლე, ისევე როგორც სრულებითაც არ არის სულ ერთი მსოფლიოს სხვა ხალხთა ბედი. ჩვენი პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას საბჭოთა ხალხის წინაშე თავიანთ მოვალეობად უწინარეს ყოვლისა მიაჩნიათ ის, რომ უზრუნველყონ მტკიცე მშვიდობის პირობები ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის გრანდიოზული გეგმების განხორციელებისათვის. საბჭოთა კავშირის მოქმედება საერთაშორისო ასპარეზზე ექვემდებარება იმ ამოცანას, რომ იმპერიალისტებმა არ ატეხონ მსოფლიო თერმოატომური ომი. ეს მიგვაჩნია ჩვენს ინტერნაციონალურ მოვალეობადაც მთელი მსოფლიოს მშრომელთა წინაშე.

ჩვენი ხალხი სხვისაგან როდი სესხულობს მამაცობას. როცა საჭირო იყო ბრძოლა სამართლიანი საქმისათვის, ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ოქტომბრის დიადი მონაპოვრებისათვის, საბჭოთა ხალხმა ხელთ აიღო იარაღი და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გაანადგურა აგრესორები. ვერავინ ვერ დააკნინებს ჩვენი ხალხის დიად საგმირო საქმეებს, ხალხისა, რომელსაც წარსულში არაერთხელ დაუჩოქებია აგრესორები, როცა სამშობლოს იცავდა, და ვერავინ ვერ მოსცხებს ჩირქს განმათავისუფლებელი საბჭოთა არმიის უჭკნობი დიდებით მოსილ დროშებს, რომლებიც საბჭოთა მეომრებმა გამოატარეს მეორე მსოფლიო ომის წლებში ევროპის ცენტრამდე და წყნარი ოკეანის ნაპირებამდე. საბჭოთა ხალხი არ შედრკება მომავალშიც, განსაცდელის ყოველ ჟამს, მას ყველაფერი აქვს, რომ გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწიოს ყველას, ვინც ხელყოფს საბჭოთა კავშირის ან მისი მეგობრებისა და მოკავშირეების უშიშროებას. მაგრამ პეკინის ვერავითარი შელოცვა ვერ დააყენებს საბჭოთა კავშირს უგუნურების გზაზე, ასეულ მილიონობით ადამიანის სიცოცხლით უპასუხისმგებლო თამაშის გზაზე.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელები ცდილობენ საქმე ისე წარმოსახონ, რომ მათი განცხადებანი, რომელთა მიზანია აშკარა ჩარევა სხვა სოციალისტური ქვეყნების, კერძოდ, საბჭოთა კავშირის საშინაო საქმეებში, თითქოს ნაკარნახევი იყოს „პროლეტარული ინტერნაციონალური მოვალეობის“ გრძნობით. მათი ლოგიკით გამოდის, რომ გალანძღონ საბჭოთა კავშირი, მისი მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა, მიითვისონ უფლება ილაპარაკონ სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხთა სახელით — სწორედ ეს არის მეგობარი სახელმწიფოს „ინტერნაციონალური მოვალეობა“.

უნდა ითქვას, რომ არც ერთ იმპერიალისტურ მთავრობას ჯერ არ გაუბედავს ამტკიცოს, რომ იგი, და არა საბჭოთა მთავრობა, წარმოადგენს საბჭოთა კავშირს საერთაშორისო საქმეებში, ლაპარაკობს საბჭოთა ხალხის სახელით. ძნელი წარმოსადგენი როდია, თუ რა მდგომარეობა შეიქმნებოდა მსოფლიოში, რომ არა მარტო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ არამედ სხვა სახელმწიფოებმაც, განსაკუთრებით დიდმა სახელმწიფოებმა, მიბაძონ მაგალითს, რომელსაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა იძლევა 15 აგვისტოს განცხადებაში. რომელიმე სახელმწიფომ, რომელსაც ეს მოეპრიანება, რომ მიიჩნიოს, რომ იგი, და არა ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობა გამოხატავს ამ ქვეყნის ხალხის ნებას, მაშინ საერთაშორისო ურთიერთობაში გამეფდებოდა ქაოსი და ავაზაკობა. თუ სახელმწიფოთა ურთიერთობაში ვიხელმძღვანელებთ ისეთი კრიტერიუმით, როგორიც არის „ინტერნაციონალური მოვალეობის“ ნებისმიერი განმარტება, ხოლო ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შეუძლიათ იარაღად გამოიყენონ ასეთი კრიტერიუმი ასეთი მოვალეობის თავიანთ გაგებაზე დაყრდნობით, მაშინ აღარ დარჩებოდა ადგილი არც საერთაშორისო ხელშეკრულებებისათვის, არც სახელმწიფოთა სუვერენიტეტის, მათ საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პატივისცემისათვის.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლის განცხადებაში პრეტენზიები განსაზღვრონ საბჭოთა ხალხის მაგიერ, რა შეესაბამება მის ინტერესებს და რა არ შეესაბამება, რა უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირის უშიშროებას და რა არ უზრუნველყოფს, პირდაპირ ფანტასტიკურად იზრდება. რად ღირს, მაგალითად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადებაში მოყვანილი აზრი, რომ თუ საბჭოთა კავშირი საერთაშორისო საქმეებში განახორციელებს იმავე ხაზს, რომელიც განასახიერა ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის ხელშეკრულების დადებამ, ესე იგი თუ იგი კვლავაც იხელმძღვანელებს თავისი მშვიდობისმოყვარული საგარეოპოლიტიკური კურსით, „მაშინ თვითონ საბჭოთა კავშირი ბოლოს და ბოლოს ვერ გაძლებს“. ჩვენ ვიცით, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა მაღლა აყენებს თავის „გაფრთხილებებს“, რომლებითაც იგი მიმართავს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას. დღეისათვის ბევრი ასეთი „გაფრთხილება“ გაკეთდა. იქნებ, ფრაზა იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი „ბოლოს და ბოლოს თავს ვერ გაძლებსო“ — ესეც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის „გაფრთხილებაა“, მაგრამ უკვე ახალი მისამართით?

ჩინეთის ხელმძღვანელები ცდილობენ საქმე ისე წარმოსახონ, თითქოს ისინი ლაპარაკობენ აგრეთვე აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ჩაგრული ხალხების სახელით, არიან მათი თავისებური რუპორი. მაშ რა მოწოდებანი გაისმის ამ რუპორიდან, რა დროშით უნდათ ჩინეთის ხელმძღვანელებს გაუძღვნენ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას?

შორიდანვე იგრძნობა, რომ დემაგოგიისა და ავანტიურიზმის სუნი ასდის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელთა მოწოდებებს. მათ სურთ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხებს თავს მოახვიონ აზრი, რომ ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების სხვა ღონისძიებანი თითქოს ხელს უშლიან მათი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაშლას. ასეთი მსჯელობა მოტყუებაა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბედი დაუკავშირო საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავებას, იმას, რომ კაცობრიობას უბიძგო მსოფლიო თერმოატომური ომისაკენ, რასაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელები სჩადიან, იგივეა, რომ დაჰპირდე ხალხებს თავისუფლებას სიკვდილის შემდეგ.

ვერავის ვერ წაიყვანენ ჩინეთის ხელმძღვანელები იმ გზით, რომლის ბოლო უფსკრულია. იმიტომ კი არ იბრძოდნენ აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ხალხები დამოუკიდებლობისათვის, რომ ყველა მათ მონაპოვარს მოსპობის საფრთხე შეექმნას. მათ სურთ იცხოვრონ, განამტკიცონ თავიანთი სახელმწიფოები, განავითარონ ეკონომიკა, შექმნან მატერიალური საფუძვლები ნამდვილი დამოუკიდებლობის მისაღწევად.

დამაჯერებელი არ არის ჩინეთის ხელმძღვანელთა ცდები საქმე ისე წარმოსახონ, თითქოს ისინი ფლობენ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა გრძნობებისა და მისწრაფებების გაგების პატენტს. იმის საუკეთესო დადასტურება, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელთა პოზიცია შეუთავსებელია ამ ხალხების ინტერესებთან, ის გარემოება, რომ მიუხედავად მათი იერიშებისა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების წინააღმდეგ, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის სახელმწიფოები ზედიზედ უერთდებიან ამ ხელშეკრულებას. სამაგიეროდ რაღაც არ ჩანს, რომ ეს სახელმწიფოები იწონებდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მოქმედების კურსს. იქნებ ფოსტა მუშაობს უწესოდ ან ტელეგრაფი გაფუჭდა და ამიტომ არ მოდის ცნობები, რომ ესა თუ ის სახელმწიფო სოლიდარობას უცხადებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის პოზიციას ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხში? თითქოს არა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადებათა ავტორებს ახლა ისღა დარჩენიათ, რომ დაიმოწმონ გამოსვლები ზოგიერთი განდგომილისა, რომლებმაც უკვე დიდი ხანია დაკარგეს ნიადაგი თავიანთ ქვეყნებში, თავიანთ პარტიებში და რომლებსაც გაძლიერებით ელოლიავებიან პეკინში. და კიდევ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შეუძლია დაიტრაბახოს ეგრეთწოდებული „IV ინტერნაციონალის“ რეზოლუციით, რომელიც აერთიანებს ტროცკისტთა ჯგუფებს. ვერაფერს ვერ იტყვი — „ღირსეული“ პარტნიორები არიან „პროლეტარულ ინტერნაციონალიზმში“.

ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების წინააღმდეგ ატეხილ აურზაურს პეკინში იყენებენ იმისათვის, რომ პროპაგანდა გაუწიონ იქ შეთხზულ ვერსიას აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ინტერესების „განსაკუთრებული“ ერთობის შესახებ. იყენებენ რა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის ცალკეულ მოღვაწეთა ნაციონალისტურ განწყობილებებს, ჩინეთის ხელმძღვანელები დემონსტრაციულად უსვამენ ხაზს მხოლოდ ამ სამი კონტინენტის ინტერესთა ერთობას, არაფერს არ ამბობენ იმის შესახებ, რომ საჭიროა განმტკიცდეს მათი სოლიდარობა სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან, მსოფლიო რევოლუციურ მუშათა მოძრაობასთან. აფრიკა-აზიის სოლიდარობის ასეთი გაგება შეიძლება იყოს არა იმდენად იარაღი ბრძოლისა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რამდენადაც საშუალება ამ კონტინენტების ხალხთა იზოლაციისა სოციალისტური სახელმწიფოებისაგან, და ბევრი სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოსგანაც. ვის, თუ არა იმპერიალისტებს, აძლევს ხელს მოქმედების ასეთი კურსი?

ვ. ი. ლენინი, რომელმაც თითქოს განჭვრიტა ჩინეთის ხელმძღვანელთა ახლანდელი ცდები შეექმნათ ზღუდეები საერთაშორისო კომუნისტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შიგნით, გაეთიშათ იგი კანის ფერის ნიშნით, მათი მისწრაფება მოეწყვიტათ ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლა საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობისაგან, წერდა: „ვინც თქვა ანი, მან ბანიც უნდა თქვას“, — ვინც ნაციონალიზმის თვალსაზრისს დაადგა, ის, ბუნებრივია, მოისურვებს ჩინური კედელი შემოავლოს თავის ეროვნებას, თავის ეროვნულ მუშაკთა მოძრაობას, მას არ აკრთობს ისიც კი, რომ საჭირო გახდება ცალკეული კედლების აგება თვითეულ ქალაქში, დაბაში, სოფელში, არ აკრთობს ისიც კი, რომ განცალკევებისა და დაქუცმაცების ტაქტიკით **იგი არარად აქცევს** ყველა ერის, ყველა რასის, ყველა ენის პროლეტართა დაახლოებისა და ერთიანობის დიდ ცნებას“. (თხზ., ტ. 6, მე-4 გამოცემა, გვ. 645-646).

საბჭოთა მთავრობას სრულიადაც არ მიაჩნია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ყოველი ცილისწამება საბჭოთა კავშირის მიმართ, მშვიდობისა და ხალხთა თავისუფალი და დამოუკიდებელი განვითარების ხელშეუვალი უფლების დაცვის მისი პოლიტიკის მიმართ იმის ღირსია, რომ პასუხი გავცეთ. და მაინც უნდა შევეხოთ ჩინეთის ხელმძღვანელთა კიდევ ერთ მტკიცებას. ისინი აცხადებენ, რომ მათ წილად ხვდათ ამოცანა კიდევ უფრო მაღლა ასწიონ ატომური იარაღის სრული აკრძალვისათვის ბრძოლის დროშა, რომელიც თითქოს „გადააგდო“ საბჭოთა კავშირმა. რა კარგი მედროშეები არიან, ობსტრუქციის პოლიტიკას რომ ახორციელებენ პირველი ნაბიჯის მიმართაც კი ატომური იარაღის სრული აკრძალვის გზაზე.

მხოლოდ მოხარული ვიქნებოდით, განიარაღებისათვის დიად ბრძოლაში სახალხო ჩინეთის მთავრობა მხარში რომ უდგეს საბჭოთა კავშირს, ყველა სოციალისტურ ქვეყანას. სამწუხაროდ, დღეს ასე როდია. საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, ატომური იარაღის ლიკვიდაციისათვის ბრძოლის დროშა მაღლა ფრიალებს, და იგი მზრუნველად უპყრია ხელთ ყველას, ვისთვისაც სიტყვა მშვიდობაში ჩაქსოვილია კონკრეტული პროგრამა მოქმედებისა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პირობების უზრუნველყოფისათვის, თერმოატომური ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს მათ შორის არ არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

თანამედროვე პირობებში, როცა კვლავ არის იმის საფრთხე, რომ ყველაზე აგრესიული იმპერიალისტური ძალები გააჩაღებენ თერმოატომურ ომს, მაგრამ როცა ამავე დროს მსოფლიოში არიან მძლავრი ძალები, რომლებსაც შესწევთ უნარი აღკვეთონ ომი, ჩაფუშონ აგრესიული წრეების ზრახვები, განსაკუთრებით საჭიროა, რომ ხალხებს ჰქონდეთ სწორი ორიენტაცია მშვიდობისათვის შემდგომ ბრძოლაში. როგორც ჯარისკაცებს ბრძოლის ველზე ნათლად უნდა ჰქონდეთ წარმოდგენილი, რა მიჯნები დაიკავეს, რა მორიგი ამოცანები აქვთ დასახული, რა მიმართულებით უნდა მიიტანონ ახალი იერიში, რომ განავითარონ მიღწეული წარმატება, ისევე ახლანდელ მსოფლიო ბრძოლაში თერმოატომური ომის თავიდან აცილებისათვის ადამიანები შეიარაღებული უნდა იყონ იმის ცოდნით, თუ რა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს უკვე მოპოვებულ წარმატებებს, რა ნაბიჯი უნდა გადადგან შემდგომ, რას უნდა მოახმარონ მთავარი ღონისძიებანი. და აი ამ მხრივ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა სწორედ იმის საწინააღმდეგოს სჩადის, რაც მოეთხოვება სოციალისტური ქვეყნის მთავრობას: იგი ცდილობს თავგზა აუბნიოს ხალხებს, მოუსპოს მათ სწორი ორიენტირები მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში და, მაშასადამე, შეარყიოს ხალხთა შემტევი აღტყინება ამ ბრძოლაში.

საბჭოთა მთავრობა კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნების ერთიანობის განმტკიცებისათვის და სოციალისტურ სახელმწიფოთა მონოლითური შეკავშირების საფუძველზე, მსოფლიო თერმოატომური ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის საერთო ბრძოლის საფუძველზე იბრძოლებს ქვეყნად მშვიდობის გამარჯვებისათვის.

საბჭოთა მთავრობა არ კარგავს იმედს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელები ერთხელ კიდევ აწონ-დაწონიან თავიანთი ახლანდელი პოლიტიკის ყველა შედეგს, რომელიც ეწინააღმდეგება სოციალისტური ქვეყნების შეკავშირების ინტერესებს, მშვიდობის ინტერესებს, და ყველა ღონისძიებას მოახმარენ იმას, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ კვლავ დაიკავოს თავისი ადგილი იმ სახელმწიფოთა რიგებში, რომლებიც შეუნელებელ ბრძოლას აწარმოებენ თერმოატომური ომის თავიდან აცილებისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

# ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

## ესტრადაზეა ახალგაზრდობა



[illegible]

...ლო" ამირან და სოსო ებრალიძის, გიორგი ლეონიძის და ვახტანგ კიკაბიძის შემადგენლობით. ისინი გიტარის თანხლებით ბრწყინვალედ ასრულებენ კუზნეცოვის „მოწმენდილ ცას", მარინო მარინის „როზიტა ჩა, ჩა, ჩას" და სანდრო მირიანაშვილის სიმღერას „საყვარელ ქუჩაზე". ამ უკანასკნელმა სიმღერამ მაყურებელთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.



...(ცენტრში) — ... , ვ. ლეონიძე და ვ. კიკაბიძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მთელი პროგრამა სრულდება ინსტრუმენტული კვინტეტის თანხლებით (ხელმძღვანელი ალექსანდრე გაბილაია), რომლის შემადგენლობაში არიან ახალგაზრდა მუსიკოსები: ა. ბასილაია, ვ. ენუქიძე, გ. ოსიპოვი, კ. ალიევი და ზ. ლეჟავა. ისინი ასრულებენ მუსიკალურ ცალკეულ ნომრებს. დიდი წარმატება ხვდა წილად მუსიკალურ ნაწარმოებს: „დღესასწაული თავისუფლების კუნძულზე". კვინტეტის მომზადებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის კომპოზიტორ ოთარ თევდორაძეს.

მისასალმებელია, რომ ფილარმონიის დირექციამ ყოველმხრივ შეუწყო ხელი ახალგაზრდული საესტრადო ანსამბლის წარმატებას. მაყურებელმა ეს ანსამბლი მეტად გულთბილად მიიღო. დიდი ენერგია დაუხარჯავს რეჟისორ გ. ქართველიშვილს ანსამბლის მხატვრული ფორმის მოძებნაში. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ ნაკლიც. რამდენადაც ძლიერია ანსამბლი ვაჟებით, შედარებით მკრთალ შთაბეჭდილებას ტოვებს ქალთა შემადგენლობა.

საესტრადო სანახაობაში მეტი ადგილი უნდა დაეთმოს ცეკვას. ეს მრავალფეროვნებისთვისაც არის საჭირო. მართალია, ამ პროგრამაში არის ორი საცეკვაო ნომერი, მაგრამ [illegible]

## ქართულ მხატვრობას გაეცნობიან ვილნიუსში

[illegible]

## კვირეთი მომხიბლავია

[illegible]



სოხუმის პლაჟზე. ფოტო ი. დვალისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

## უკანასკნელი საათს

## პრეზიდენტ ჯონ კენედის პრეს-კონფერენცია

[illegible]

...ხას მუდმივი საკონტროლო საგუშაგოები უეცარი თავდასხმის თავიდან აცილებისათვის, ჯ. კენედიმ თქვა, რომ ამ პრობლემას ახლა განიხილავს ნატოს საბჭო. მოკავშირეებთან კონსულტაციის შემდეგ, განაცხადა პრეზიდენტმა, ჩვენ შევძლებთ გამოვიტანოთ დასკვნები, და შემდეგ შეიძლება მოეწყოს მოლაპარაკება მოკავშირეებსა და საბჭოთა კავშირს შორის.

## სპარტაკიადის „[illegible]"

[illegible]

| | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო |
|---|---|---|---|
| [illegible] | 82 | 74 | 102 |
| [illegible] | 50 | 78 | 36 |
| [illegible] | 52 | 107 | 75 |
| [illegible] | 16 | 12 | 42 |
| [illegible] | 6 | 6 | 8 |
| [illegible] | 4 | 1 | 5 |
| [illegible] | 7 | 25 | 41 |
| [illegible] | 6 | 7 | 6 |
| [illegible] | 11 | 3 | 6 |
| [illegible] | — | 1 | 2 |
| [illegible] | 15 | 13 | 20 |
| [illegible] | 1 | 1 | — |
| [illegible] | 2 | — | — |
| [illegible] | 2 | 6 | 2 |
| [illegible] | 2 | 2 | 2 |
| ესტონეთის სსრ | 5 | 2 | 9 |

(საქდესი).

## იაპონელთა უპირატესობით

ძიუ-დო იაპონიის ეროვნული ჭიდაობაა. იგი შეტანილია ტოკიოს მომავალი წლის ოლიმპიურ ასპარეზობათა პროგრამაში. ამიტომ არის, რომ ამ ბოლო ხანებში ასე გახშირდა საერთაშორისო შეხვედრები ჭიდაობის ამ სახეობაში.

ცხადია, იაპონიის ძიუ-დოისტების ტურნე ევროპაში, რომლებსაც დიდი გამოცდილება და ტრადიცია აქვთ, საერთო ყურადღებას იპყრობს. ეს არა მარტო უბრალო შეხვედრებია, არამედ წარმოადგენს ძალთა მოსინჯვას, გამოცდილებათა ერთგვარ გაზიარებას.

ამიტომ იყო, რომ გუშინდელ საერთაშორისო ასპარეზობას თბილისში იაპონიისა და სსრ კავშირის ძიუ-დოისტთა გუნდებს შორის შეუნელებელი ინტერესით მოელოდნენ.

რა შეიძლება ითქვას ამ შეხვედრაზე? იაპონელთა უპირატესობა აქ აშკარა იყო. მათი ილეთები მრავალფეროვანი და სრულყოფილია, ამასთან მოულოდნელი. ყოველივე ამან თავი იჩინა ანგარიშშიც — იაპონელებმა გაიმარჯვეს დამაჯერებელი ანგარიშით 6,5 : 0,5.

მსუბუქ წონაში მონაწილეობდა ორი წყვილი. პირველში 4 წუთს და 7 წამში წმინდა გამარჯვება მოიპოვა მაცუდამ მაღალდაძესთან, მეორეში — ჰაიასიდამ ჯღამაძესთან.

ასევე ორი წყვილი მონაწილეობდა საშუალო წონაში. იტომ მოუგო ნონიკაშვილს, ხოლო მძაფრი ბრძოლის შემდეგ ციპურსკი დამარცხდა ერსიუსთან.

მძიმე წონის ძიუ-დოისტთა შეხვედრამდე მოეწყო საჩვენებელი გამოსვლები სამბოსა და ქართულ ჭიდაობაში.

ერთადერთი ფრე, ანუ ნახევარი ქულა ჩვენს გუნდს მძიმე წონაში მოუტანა ბერუაშვილმა იკიტოსთან ორთაბრძოლაში. მურაიმ მტკივნეული ილეთით დაამარცხა ქიბროწაშვილი. წმინდა გამარჯვება მოიპოვა აგრეთვე იაპონელმა საკაგუჩიმ ევროპის აბსოლუტურ ჩემპიონ კიკნაძესთან.

## პირველი მატჩი მოგებულია

**გუშინ** სვერდლოვსკში დაიწყო ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშების დასკვნითი შეხვედრები ხელბურთში. ოქროს მედლებისათვის მებრძოლთა შორის არიან თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელები, რომლებსაც საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლის კარგი შანსები აქვთ.

პირველი მატჩი ჩვენს გუნდს ჰქონდა ლენინგრადის „ტრუდთან". ბრძოლა თავიდანვე შეუპოვარი იყო. „ბურევესტნიკის" სასტარტო შვიდეულმა (აბაიშვილი, ცერცვაძე, ანთაძე, ექსეულიძე, კარტოზია, მაჭავარიანი, ფხაკაძე) არაერთხელ მიიტანა იერიში მეტოქის კარზე, მაგრამ პირველ ხუთ წუთში ანგარიში არ გახსნილა. მიუხედავად ლენინგრადელთა გაძლიერებული დაცვითი თამაშისა, მათი კარი მაინც იქნა „აღებული". გოლის ავტორი იყო კარტოზია. მალე ამას მოჰყვა ცერცვაძისა და ექსეულიძის კიდევ ორი ბურთი.

წუთები გადიოდა, ანგარიში ჩვენს სასარგებლოდ იზრდებოდა. პირველი ტაიმი დამთავრდა თბილისელ ხელბურთელთა სასარგებლოდ ანგარიშით 11:5.

მეორე ნახევარში სურათი ერთბაშად შეიცვალა. ინიციატივა ხელთ იგდეს ლენინგრადელებმა, მათ შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება და მოიგეს ტაიმი ანგარიშით 12:8, მაგრამ ეს იყო და ეს და დამარცხდნენ ანგარიშით 17:19.

ამრიგად, თბილისის „ბურევესტნიკმა" ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის სტარტზე მეტად საჭირო ქულები ჩაიწერა გათამაშების ცხრილში. (ჩვენი სპეც. კორ.).

## დუბლიორთა შეხვედრები

**გუშინ** თბილისის „დინამოს" სტადიონზე შედგა დუბლიორთა საკავშირო ტურნირის მორიგი მატჩი ფეხბურთში დონეცკის „შახტიორისა" და თბილისის „დინამოს" გუნდებს შორის.

პირველ ტაიმს შედეგი არ მოუცია — 0:0. მეორე ნახევრის 25-ე წუთზე მელაშვილის მიერ გატანილმა ერთადერთმა ბურთმა გადაწყვიტა მატჩის ბედი. გაიმარჯვეს დინამოელებმა.

დინამოელთა შემადგენლობა ასეთი იყო: ლეჟავა, გუმბერიძე, რეხვიაშვილი, წუწუნავა, ტოგონიძე, სახვაძე, ძოძუაშვილი (ძიძიგური), ხუციშვილი (ხარტიშვილი), მელაშვილი, მაისურაძე, ვეკუა.

**გუშინ** ქუთაისში შედგა ადგილობრივი „ტორპედოსა" და ცსკა-ს გუნდების დუბლშემადგენლობათა შეჯიბრება ფეხბურთში. მატჩის შედეგია ფრე — 2:2.

## ტურნირი კალინინგრადში

**კალინინგრადში** დაიწყო „ა" და „ბ" კლასის გუნდებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების მოზარდ ფეხბურთელთა კოლექტივების საკავშირო ტურნირის დასკვნითი შეჯიბრება. პირველი მატჩი საქართველოს გუნდს ჰქონდა ხარკოვის „ავანგარდთან" და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0. გასული წლის გათამაშებაში გამარჯვებული მოსკოვის „სპარტაკი" თამაშობდა დედაქალაქის დინამოელთა წინააღმდეგ. აქაც ფიქსირებულ იქნა ანგარიში 2:0. გაიმარჯვეს სპარტაკელებმა.

## არა, ეს მდგომარეობა საყაიმო არ არის!

• ერთი საგამომძიებლო საქმის გამო •

**ჩვენს** წინ არის საგამომძიებლო საქმე № 11.03963. იგი შეიცავს ორ ვრცელ ტომს შვიდასამდე ფურცლით. დაიწყო იგი 1963 წლის 6 მარტს და დამთავრდა 29 მაისს. საქმეში ნახავთ ათობით მოწმის ჩვენებას, დაპირისპირებებს, სარევიზიო აქტებს, ექსპერტების დასკვნებს, ბრალდებულთა ჩხრეკისა თუ დაპატიმრების ოქმებს, საბრალდებო დასკვნებს. ვინ იცის რამდენი ნერვიულობა გადაიტანეს გამომძიებლებმა, მოწმეებმა, ბრალდებულებმა და მათმა გულშემატკივრებმა.

ამბავი იმით დაიწყო, რომ საჩხერის რაიონული მილიციის განყოფილებაში შევიდა რამდენიმე განცხადება, სადაც მხილებული იყო საჩხერის ავტოსატრანსპორტო კანტორის ხელმძღვანელთა დანაშაულობანი.

6 მარტს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და გამოძიებას შეუდგა ოპერრწმუნებული, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ი. ბრეგვაძე. მოწმეების დაკითხვამ და გამოძიების პირველმა დღეებმა ბევრი არასასიამოვნო ფაქტი გამოავლინა.

ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსის გ. კაპანაძის, მთავარი ინჟინრის ჯ. ხარაიშვილისა და გარაჟის უფროსის ლ. დეკანოიძის ბინებში აღმოჩნდა საეჭვო დოკუმენტები, — მძღოლთა ათობით საგზური, გ. კაპანაძისა და ლ. დეკანოიძის ბინებში სასროლი იარაღიც იპოვნეს.

8 მარტს გამომძიებელი წერს დადგენილებას: „გ. კაპანაძე, ჯ. ხარაიშვილი და ლ. დეკანოიძე ეჭვით მხილებულნი არიან იმაში, რომ მძღოლების სამუშაოზე მიღებისას ან სათადარიგო ნაწილების გაცემაზე იღებდნენ ქრთამს. მათი თავისუფლად ყოფნა ხელს შეუშლის გამოძიებასა და ჭეშმარიტების დადგენას. ამიტომ ეჭვმიტანილი პირები დროებით დაპატიმრებულ იქნან".

ასეც გაკეთდა. ისინი დააპატიმრეს. მილიციის განყოფილებამ, რაიონის პროკურატურამ 12 მარტს წარდგინება გაუგზავნეს ქუთაისის № 3 ავტოსატრანსპორტო ტრესტის მმართველს შ. ფრუიძეს, რათა გამოძიების დამთავრებამდე თანამდებობიდან გადაეყენებინა კანტორის ხელმძღვანელები. კანტორის უფროსობა დ. პერანიძეს დაეკისრა.

გამოძიება გრძელდებოდა. პატიმრებს ჭირისუფლები გამოუჩნდნენ და 14-15 მარტს ისინი თავდებით გამოუშვეს.

ასე იყო თუ ისე, მილიციის ორგანოებმა გამოძიება დაამთავრეს და 21 მარტს

[illegible]

საქმეში კვლავ დარჩა დანაშაულის ნიშნები. ამის გამო პროკურატურის დადგენილებაში ვკითხულობთ:

„გამოძიება იღებს მხედველობაში, რომ გ. კაპანაძე და ჯ. ხარაიშვილი არიან ახალგაზრდა სპეციალისტები, სხვა დროს არ ყოფილან პასუხისგებაში, მათ მიერ ჩადენილი დანაშაული არ ატარებს საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათს. ამიტომ გ. კაპანაძე და ჯ. ხარაიშვილი მიცემულ იქნან მკაცრ დისციპლინარულ პასუხისგებაში".

**ბრალდებულთაგან** სამართალში მიცემულ იქნა მხოლოდ ლ. დეკანოიძე, რომელმაც მიითვისა საგზურების თანხა, არ გადაიხადა შარშან პირად საქმეზე სოხუმში წაყვანილი „ვოლგის" საგზურის ღირებულება 68 მანეთი და 50 კაპიკი. აგრეთვე აღმოაჩნდა სასროლი იარაღი.

პასუხისგებაში მიეცა აგრეთვე კანტორის საწყობის გამგე ზ. ზაბახიძე, რომელმაც არევ-დარევა შეიტანა საწყობის მუშაობაში, დააკლდა მანქანის ნაწილები 407 მანეთის საერთო ღირებულებისა, ხოლო ზედმეტი აღმოჩნდა 627 მანეთის ნაწილებიც (სახეობათა მიხედვით ერთმანეთს არ ფარავს), დანაკლისის დასაფარავად მან საწყობში შეიტანა 647 მანეთის უზედდებულო ნაწილები და სხვ.

29 მაისს შედგა სასამართლო პროცესი, ლ. დეკანოიძეს მიესაჯა ექვსი თვით შრომა-გასწორებითი მუშაობა ხელფასიდან 15 პროცენტის დაქვითვით, ხოლო ზ. ზაბახიძეს სამუშაოდან დათხოვნა აკმარეს.

ასე მშვიდობიანად და უმტკივნეულოდ დამთავრდა სისხლის სამართლის შვიდასფურცლიანი საქმე, რომელიც საკმაოდ სენსაციურად და ხმაურით დაიწყო.

გ. კაპანაძე, ჯ. ხარაიშვილი, ლ. დეკანოიძე კვლავ დაბრუნდნენ თავიანთ თანამდებობებზე.

თითქოს გაურკვეველია, ვინ არის დამნაშავე. ჩვენ დაუმსახურებლად ადამიანის დასჯის წინააღმდეგი ვართ, მაგრამ მართალი და მტყუანი ხომ უნდა გაირკვეს, ჭეშმარიტება დადგინდეს. ორივე მხარე მართალი არ შეიძლება იყოს.

სადავო არ არის, რომ ამ კანტორაში ანგარიშწარმოება არეულდარეულია. როგორ შეიძლება ათეულობით საგზური ბინებში ინახებოდეს, ხოლო თანხა სალაროში არ შედიოდეს?! მძღოლი ხომ ახალ საგზურს ისე ვერ მიიღებს, თუ წინადღის საგზური თანხიანად არ ჩააბარა? ან მძღოლებმა რატომ არ მიაკითხეს? მათ ხომ ამ საგზურებიდან უნდა მიეღოთ ხელფასი, ჩამოეწერათ ბენზინი?

საქმეში არის უტყუარი მასალები, რომ მთავარმა ინჟინერმა ჯ. ხარაიშვილმა მძღოლ ზ. გაგნიძისაგან თითქოს ითხოვა საათი „პობედა", რომელიც ერთი თვის შემდეგ მექანიკოს ა. ხახიაშვილს გაუცვალა (განა ნათხოვარ ნივთს ცვლიან?).

ჯ. ხარაიშვილი აქ აშკარად ტყუის. მას ხომ ჰქონდა საკუთარი საათი და რატომ დასჭირდა ხელქვეითისაგან საათის თხოვება. ხარაიშვილი გამოძიებაში ამბობს: „მე მქონდა მაჯის შვეიცარული საათი, რომელიც გავუცვალე მაჯის საათში გ. გოცაძეს, რომელმაც მომცა თავისი მაჯის საათი ოქროს კორპუსით. აღნიშნული საათი მქონდა ორ თვეს და შემდეგ გავუცვალე ვ. ენუქიძეს, რომელმაც სათავად მომცა 50 მანეთი და დავხარჯეთ იმ საღამოს „მაღარიჩში". მან თვით მომცა მაჯის საათი „მაიაკი". დაახლოებით ოცი დღის წინათ მძღოლ ზ. გაგნიძისაგან ვინათხოვრე საათი „პობედა", რომელიც გავუცვალე ჩვენს მექანიკოსს ა. ხახიაშვილს".

გამოდის, რომ მთავარი ინჟინერი საათების გაცვლა-გამოცვლას უნდებოდა. ამას სასიამოვნო სუნი არ უდის!

მივყვეთ ქვემოთ. გ. კაპანაძეს ბინაზე აღმოაჩნდა „ბრაუნინგის" სისტემის რევოლვერი. ლაბორატორიის დასკვნით იგი სრულყოფილი არ არის, მაგრამ საქმეში კრინტიც არ არის დაძრული თუ საიდან გაჩნდა გ. კაპანაძის ბინაზე „უვარგისი" იარაღი, ანდა რატომ ასე სათუთად ინახავდა იგი „ლითონის ჯართს"!

საქმეში არის კომუნისტი მძღოლების მ. ლაბუჩიძისა და ს. მწყერაშვილის საკმაოდ სერიოზული მხილება კანტორის ხელმძღვანელებზე. საკვირველია, რატომ ყურად არ იღო იგი პროკურატურამ.

განვაგრძოთ. კანტორის ხელმძღვანელებს ბრალს სდებდნენ, დამნაშავე მძღოლებს კვლავ ამუშავებენო. მხოლოდ ერთ შემთხვევას მოვიყვანთ.

აქ მძღოლად მუშაობს ა. აბაშიძე. გასული წლის 24 მარტს მას სოფელ კორბოულის მიმართულებით 40 მგზავრი გადაჰყავდა და არც ერთს ბილეთი არ ჰქონდა. თბილისიდან ჩამოსულმა რევიზორებმა აქტი შეადგინეს, ხოლო 28 მარტს № 2 ავტოსატრანსპორტო ტრესტის ხელმძღვანელობა ამხ. გ. კაპანაძეს სწერდა, დამნაშავე მძღოლები მკაცრად დასაჯეთ და შედეგი 5 აპრილამდე გვაცნობეთო.

გ. კაპანაძემ 6 აპრილის ბრძანებით აბაშიძე სამგზავრო ტაქსიდან სატვირთო მანქანაზე გადაიყვანა, თანაც შვებულებაში გაუშვა, ხოლო როცა დაბრუნდა, ისევ თავის მანქანაზე დასვა.

22 ივნისი. ა. აბაშიძეს ისევ წაასწრეს დანაშაულზე. მგზავრებიდან 10 კაპიკს იღებდა, ხოლო 5 კაპიკიან ბილეთს აძლევდა. კვლავ შედგა აქტი, ხოლო ტრესტის მმართველი ლ. ვარდიშვილი ამის გამო გ. კაპანაძეს 30 ივნისს სწერდა: მიიღეთ სასტიკი ზომები სამუშაოდან განთავისუფლებამდეც. გ. კაპანაძემ 10 ივლისის ბრძანებით აბაშიძეს გამოუცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

გავიდა მცირე დრო და კვლავ ჩამოვიდნენ რევიზორები. ა. აბაშიძეს კვლავ უბილეთო მგზავრები გადაჰყავდა. 17 აგვისტოს ახალი აქტი შედგა. 25 აგვისტოს მომართვით ტრესტის ხელმძღვანელობა მიღებულ ღონისძიებაზე პასუხს მოითხოვდა. მაგრამ ამას ყური არავინ ათხოვა. 28 ნოემბერს ტრესტიდან კვლავ იწერებოდნენ; განმეორებით მოგაგონებთ — მიიღეთ ზომები, პასუხი გვაცნობეთ 10 დეკემბრამდე.

მაგრამ ამ მიწერ-მოწერამ ამაოდ ჩაიარა. ა. აბაშიძე კვლავინდებურად მუშაობს. განა ეს შემთხვევა იმაზე არ მეტყველებს რომ, კანტორის ხელმძღვანელები გაუმართლებელ წაყრუებას იჩენენ მძღოლებისადმი. ეს ლმობიერებაა თუ უფრო მეტი? ასეთი მოქმედება ხომ არასასურველ ეჭვებს ბადებს ადამიანებში და რატომ ქმნიან ამის საფუძველს?

რა მოხდა ამის შემდეგ? ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსი გ. კაპანაძე რამდენიმე კვირის შემდეგ ბენზინის გადახარჯვისათვის გადააყენეს თანამდებობიდან, თუმცა ეს ამბავი ადრეც კარგად იყო ცნობილი სამინისტროსათვის. ამჯერად ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსად რეკომენდაცია მისცეს მთავარ ინჟინერს ჯ. ხარაიშვილს, რომელიც მხილებულია სამარცხვინო საქციელში. ამასთანავე ბენზინის გადახარჯვისათვის განა მთავარი ინჟინერი ნაკლებ პასუხისმგებელია?

**კვლავ** ვიმეორებთ: ეს საქმე მკაცრად დაიწყო, მაგრამ საგამომძიებლო ორგანოებს ბოლოს თითქმის არაფერი დარჩათ, პატიმრობაში ნამყოფი პირები თავიანთ ადგილებზე დაბრუნდნენ და ახლა ისინი ნაცდურსაც მოითხოვენ. მილიციის ორგანოებიც თავს იმართლებენ. გამოდის, რომ ორივე მხარე მართალია.

არა, პრინციპულ საკითხებში, როცა საქმე სისხლის სამართლის დანაშაულს ეხება, ყაიმი, შემთანხმებლობა არ შეიძლება. ორივე მხარე არ შეიძლება მართალი იყოს.

**პ. ჭიოკაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## ასი მარშრუტით...

**ქუთაისი.** (საკ. კორ.). ქალაქის ავტოსადგურებიდან ყოველდღიურად შორეულ რეისებზე ასამდე მარშრუტით მიემართებიან კომფორტაბელური ავტობუსები: ქუთაისი ავტობუსებით უკავშირდება თბილისს, სოჭს, გაგრას, სოხუმს, დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა მსხვილ დასახლებულ პუნქტს.

ამ ზაფხულს საავტომობილო მიმოსვლა დამყარდა ახალციხესთან, ბორჯომთან, ბაკურიანთან, წაღვერთან და ჭიათურასთან.

ქუთაისსა და თბილისს შორის ამ დღეებში ავტობუსები ივლიან სრულიად ახალი მარშრუტით.

## დუშეთის სახალხო თეატრში

**ამ დღეებში** დუშეთის სახალხო თეატრის სცენაზე მორიგ პრემიერად უჩვენეს ი. ჯავახიშვილის ლირიკული კომედია „უქნარა". ავტორმა ეს პიესა საზოგადოებრივ საწყისებზე დაუწერა დუშეთის სახალხო თეატრს და ა. ნამორაძესთან ერთად დადგა. მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ტ. ოთარაშვილს.

**ნ. გომართელი.**

## საქართველოს პირველობაზე

გრძელდება საქართველოს პირველობის გათამაშება ფეხბურთში. პირველ ქვეჯგუფში ლიდერობას განაგრძობს ტყიბულის „მეშახტე", რომელსაც 22 თამაშიდან 30 ქულა აქვს. სამ გუნდს — ქუთაისის „იმერეთს", მახარაძის „მერცხალსა" და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდებს აქვთ ოცდარვა-ოცდარვა ქულა; მეორე ქვეჯგუფის გუნდების სატურნირო ცხრილის სათავეში დგას თბილისის „სინათლე" (20 თამაშიდან 30 ქულა); ოცდაცხრა-ოცდაცხრა ქულა აქვთ ლანჩხუთის „გურიასა" და ახალციხის „მესხეთს".

## ჩვენი სტუმრები

ბელგია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია სტუმრად იმყოფება საქართველოში. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ამ საზოგადოების ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, „მშვიდობისათვის მებრძოლ ქალთა" ბელგიის ორგანიზაციის აქტიური მოღვაწე ჟორჟეტ ვანმელეკომი, საზოგადოების თვალსაჩინო მოღვაწეები ალფონს სერფონტენი და მარსელ სტრიკვანტი.

ბელგიელი მეგობრები ეცნობიან რესპუბლიკის ცხოვრებას, დაათვალიერეს თბილისის ძველი და ახალი საცხოვრებელი რაიონები, იყვნენ მთელ რიგ საწარმოებში, ნახეს საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. დელეგაციის წევრები მიიღეს საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში.

ალფონს სერფონტენმა გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი და თქვა: „პირველად ვარ საბჭოთა კავშირში და შემიძლია შევადარო რეალური სინამდვილე იმას, რაც ვიცოდი საბჭოთა ქვეყნის შესახებ გაზეთებიდან. ყველაფერი, რაც ვნახე დღევანდლამდე მოსკოვში, საქართველოში, საშუალებას მაძლევს ვთქვა, რომ საბჭოთა სინამდვილემ გადააჭარბა ყველაფერს, რაც ვიცოდი მის შესახებ".

იმან, რაც ვნახეთ საბჭოთა კავშირში, — თქვა მარსელ სტრიკვანტმა, — თქვენი ქვეყნის უფრო დიდი თაყვანისმცემელი გაგვხადა. ამის შედეგად ჩვენი საზოგადოების საქმიანობა უფრო ნაყოფიერი გახდება".

ბელგია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია განაგრძობს საქართველოს გაცნობას და გაემგზავრა სოხუმში. (საქდესი).

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

### კინო

22 აგვისტო

**რუსთაველის სახელობის, ამირანი** (საზამთრო და საზაფხულო), **ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, ისანი** (საზამთრო), **სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **საქართველო** (წითელი დარბაზი) — ინდოეთის ახალი კინოფილმების ფესტივალი, **ისანი** (საზაფხული), **ოფიცერთა სახლი** — სამი მუშკეტერი (I-II სერია), **თბილისი** — რუმინული ფილმების ჩვენება, **კომკავშირელი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, დიდუბე** (საზამთრო), **კომუნარების ბაღი, გაზაფხული, ნაკადული, კოსმოსი** — საშა, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — თეთრი ბალთა, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — თოჯინები იცინიან.

### ტელევიზია

22 აგვისტო

12.00 — კინონარკვევი, 12.20 — მხატვრული ფილმი „მშვიდობა ახალმოსულს" (ქართული ვარიანტი), 17.30 — ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი თბილისის „დინამოს" სტადიონიდან, 19.15 — ახალი ამბები, 19.25 — კინონარკვევი, 20.05 — გადაცემა — „რუმინელი ხალხის ეროვნული დღესასწაული", 20.20 — კინოჟურნალი, 20.30 — სიმღერები ქართული კინოფილმებიდან, 21.00 — მხატვრული ფილმი — „მშვიდობა ახალმოსულს" (ქართული ვარიანტი), 22.30 — ახალი ამბები.

### რადიო

23 აგვისტო

**პირველი პროგრამით**

06.40 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 08.25 — რუმინული სიმღერები და საცეკვაოები, 11.15 — ნაწყვეტები დარგომიჟსკის ოპერა „ალიდან", 12.10 — გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე, 12.20 — ა. შავერზაშვილი. საფორტეპიანო ტრიო და რომანსები, 13.40 — მღერის რიგის ფილარმონიის ვაჟთა ვოკალური კვარტეტი, 17.15 — ახალგაზრდული სიმღერები, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის, 18.10 — სიმღერები თბილისის თვითმოქმედი ანსამბლების შესრულებით, 18.45 — ლისტი. მეფისტო ვალსი და დავიწყებული ვალსი ჯონ ოგდონის შესრულებით, 19.30 — სოციალისტური შეჯიბრების დღიური, 20.15 — კონცერტი — „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 21.30 — გადაცემა ციკლიდან — „შემოქმედებითი პორტრეტები" — ნოდარ დუმბაძე, 22.15 — მსუბუქი მუსიკა, 23.30 — კონცერტი თ. ამირეჯიბისა და შ. კიკნაძის მონაწილეობით.

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**


კომუნისტი — Комунисти
ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03 3-08-67 პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10 განყოფილებებისა: პარტიული, მრეწველობის, — 9-87-61 მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-22-98, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სანწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90. წერილების — 9-73-24. საილუსტრაციო — 3-20-43. განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

უე 11573

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.